

2633  
950



# გეორგიული ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

## „LE DESTIN DE LA GÉORGIE“

Recueil Historique, Scientifique et Littéraire Géorgien.

Rédacteur en chef : K. SALIA. 8, rue Berlioz, Paris (16<sup>e</sup>). Tél.: Passy 75-35.

№ 8

ს ო კ ტ ბ ე რ ი — 1950 — NOVEMBRE

№ 8

### S O M M A I R E :

1. Destruction en Turquie du tombeau de Solomon II, Roi de Géorgie.
2. Prof. M. Tserethéli — A la mémoire du prof. R. Black.
3. Ir. O-ri — A la mémoire du R. P. P. Peeters:
4. Grigol Robakidse — Expressionisme.
5. Anthologie Géorgienne (extrait) — I. Grichachvili et K. Nadiradse.
6. Ch. Amiredjibi — Poésie
7. G. Kipiani — Poésie.
8. G. Keresselidzé — Enseignement de Jésus Christ et la Nation Géorgienne.
9. Prof. M. Tserethéli — «Histoire et éloge des Souverains». (Etude littéraire).
10. R. P. M. Tarknichvili — Inscription sur l'Image de la S-te Vierge au Monastère Petritsoni.
11. Dr. W. Hambachidzé — Problème de la Santé.
12. Nar-Nari — Critique des Théories de S. Pirtzkalava.
13. G. Jourouli — Mémoires. (I. Tchavtchavdze).
14. Dr W. Tsitsichvili — Influence de l'art Géorgien en Russie du sud.
15. N. Salia — Activités culturelles des Géorgiens à Paris.
16. Bibliographie.
17. Chronique.

### სოლომონ მეორის საფლავის დანგობვა ოსმალეთში

„ჭსაჯენ, უფალო, მაგინებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა“  
(ფსალმუნნი 34, წარწერა სოლომონის საფლავის ქვაზე)

ტრაპეზუნში დაანგრიეს იმერეთის უკანასკნელი მეფის ძეგლი და საფლავი. ეს სამწუხარო ამბავი ჩვენ ირაკლი მუხრან ბატონმა გვაცნობა, რომელმაც გადმოგვიგზავნა მთელი რიგი საბუთებისა ამის შესახებ. ჯერ კიდევ 1943 წელს მისი თხოვნით ჩვენი ქვეყნის მეგობარს, სწ განსვენებულ ელჩს ვსრავ შულენბურგს დაუვალებია გერმანიის კონსტოლისათვის ტრაპეზუნში მოძებნა წმ. გრიგოლის ეკლესიის გალავანში მოთავსებული სოლომონ მეფის საფლავისა. მოგვეყავს წერილი კონსული ვსსოვისა შულენბურგისადმი: „ტრაპეზუნი, 29/XII, 1943 წ. მიღებული გვაქვს საბოლოო პასუხი თურქების შუამავალ

კაცთა, იმერეთის უკანასკნელი მეფის საფლავის შესახებ. თქვენ მიერ გადმოგზავნილ ორი სურათის საშუალებით ძნელი არ იყო წმ. გრიგოლის ეკლესიის მოძებნა. მხოლოდ შიგ შესვლა შეუძლებელი აღმოჩნდა, რათგან 12 წელიწადხედი მეტია, რაც იგი ჯარის ტანსაცმელის საწყობად გადაუქცევიათ. საწყობის გამგე კაპიტანმა განაცხადა, რომ ძეგლი ათი წლის წინად აღებულ იქნა, რათგან აღვილი სადაც ის იდგა, გვერდებოდა. ქეები ან სხვაგან გამოიყენეს, ან შეიძლება სულ გადაადრესო... ამის შემდეგ ირაკლი მუხრან ბატონს მიუმართავს ოსმალეთის ელჩისათვის მადრიდში, რომელსაც უპასუხნია, რომ

1916-17 წ. ტრაპეზუნის ოკუპაციის დროს, რუსებმა გახსნეს მეფის საფლავი და გვამი მონეტაცესო; რასაკვირველია ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება, რათგან ჩვენ ვიცით, რომ სოლომონ მეფის საფლავი 1930 წლის შემდეგაც ხელუხლებელი იყო. ამის მოწმე ბევრი ქართველია.

როდის მოხსნეს ძეგლი ოსმალებმა, ძნელი გამოსარკვევია; უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს არა საკადრისი საქციელი ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩაიდინა, რომელმაც ალბათ არც იცოდა, რომ საქართველოს მეფე სულთანის სტუმარი იყო.

**ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია ამ საქმის უყურადღებოდ მიტოვება. მართალია, ძეგლი მოსპეს, მაგრამ შეიძლება ნეშტი დარჩა, უნდა შევეცადოთ მოვებნოთ იგი. „ბედი ქართლისა“ იზრუნებს ამაზე, დარწმუნებული, რომ მიიღებს თანამემამულეთა თანაგრძობას და დახმარებას.**

**„ბედი ქართლისა“ მიმართავს აგრეთვე თხოვნით სპარსეთში მყოფ ქართველებს: მიხედონ და მოუფარონ ჩვენი მეორე გმირის, ხმლის რაინდის, ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავს თეირანში, რომ მასაც სოლომონ მეფის ბედი არ ეწვიოს.**

ჩვენი აზრით, ზედმეტი არ იქნება გავახსენოთ მეითხველს იმერეთის მეფის რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის უკანასკნელი ფაზა, რის ფაზო მან დასტოვა სამშობლო და ოსმალეთში გაიხიზნა.

1809 წ. ფოთის ციხის ალებისა და მამია გურიელის გადაბირების შემდეგ რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა, ენერგიული ზომების მიღება იმერეთის მეფის წინააღმდეგ. 1810 წ. 20 თებერვალს, წინასწარი განზრახული გეგმის თანახმად რუსებმა გამოაქვეყნეს ქუთაისში იმპერატორის ბრძანება მეფის ტახტიდან გადადებისა და რუსული მმართველობის შემოღების შესახებ. მთავარმართებელ ტორმასოვს უკვე დიდძალი ჯარი ჰყავდა დაგროვილი და დაიძრა მეფის შესაპყრობად ვარციხისაკენ. სოლომონ მეფემ ვარციხის გამაგრება ვერ შესძლო და არჩია დახვევა ბაღდადისაკენ, მაგრამ რუსებმა ახალციხისკენ გადასავლელი გზები მოუჭრეს და იმერეთის დიდი ნაწილი დააფიცეს რუსეთის ერთგულებაზე. ბევრი ციხეც დანებდა მტერს. მეფე დიდ განსაცდელში ჩაყარდა. ხანის ხეობაში განწირული ბრძოლის მიცემა არ ინება და დაიწყო მოლაპარაკება რუსებთან. მათი ჯარის უფროსმა გენ. სიმონოვიჩმა იხანულა მეფე სალხინოს საყდართან და ხატუჩი და სახარებაზედ დაფიცებით დაარწმუნა,

რომ რუსეთის მთავრობას არა აქვს განზრახვა მას მეფობა წაართვას, და სთხოვა ტორმასოვთან შეხვედრა. მეფე დიდი ამალით (500 კაცი) დაიძრა ქართლისაკენ, სოფ. დირბში მის ამაღას რუსის ჯარმა ალყა შემოარტყა. მას არ შეეძლო არც გაქცევა, არც უკან დახევა. დატყვევებული მეფე მიიყვანეს ტფილისს და ამაღა ჩამოაშორეს. უკიდინენ იმპერატორის განკარგულებას მისი რუსეთში გადასახლების შესახებ.

9 მაისს, ღამე, თავისი პირფარეშის ტანისამოსში გადაცმული მეფე სოლომონ II გაიპარა საპატიმრო სახლითგან; ქალაქის გარედ მას დახვედენ შეთქმულების მომწყობნი: მთავარი - სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, მისი ძმა როსტომ, სახლო - უხუცესი სვიმონ წერეთელი და სხვები, რომელნიც სწრაფლ გაემზრენ ახალციხისაკენ, სადაც მათ დიდი ამბით მიეგება ახალციხის ფაშა. მეფემ დაგზავნა იმერეთში წარჩინებულნი და ხალხს მოწოდებით მიმართა. შემდეგ თვითონ შევიდა თავის სამეფოში. მეფის შემოსვლისთანავე მთელი იმერეთი როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგა. ზემო მხარის დასამშვიდებლად გამოგზავნილი რუსები იმერლებმა დაამარცხეს და მთელი რაზმი გასწყვიტეს. ტფილისიდან წამოვიდა 3200 რუსის ჯარის კაცი თ. გენ. დ. ორბელიანი, ხოლო ამავე დროს გამდგარი ლეღან დადიანი თავისი ჯარით მივიდა ჯიხაიშს, სადაც მას მიემატა 500 რუსი. სოლომონ მეფე დაეცა დადიანს და დაამარცხა, მაგრამ ამან მაინც მოახერხა დარჩენილი ნაწილით ქუთაისში მისვლა და გენ. სიმონოვიჩთან შეერთება. გენ. ორბელიანმა თავისი ჯარი ორ ნაწილად დაჰყო და შეუსია იმერეთს. მისი პირველი ნაწილი სოფ. ალთან დაამარცხა სოლომონმა. რუსებმა დაჰკარგეს 500 კაცი, რის გამო ორბელიანს ჩამოართვეს მხედართ - მთავრობა და გენ. როზენს დაუმორჩილეს. ეს უკანასკნელი დიდ ძალი ჯარით მიადგა ქუთაისს, სადაც მას შეუერთდნენ დადიანი და გურიელი. ამ დროს რუსებთან მივიდნენ თავისი რაზმებით სახლო - უხუცესი ზურაბ წერეთელი, წულუკიძენი და ზოგი ახნაურაი. მეფე გამაგრდა ხანის წყლის ხეობაში, დიდ ხანს გაუწია გმირული წინააღმდეგობა მტერს, მაგრამ რიცხვმა სძლია და უკანასკნელი სასტიკი ბრძოლის მიცემის შემდეგ დამარცხდა. მტერი აღდგენ დაჩინილ თავად - ახნაურთა და მეთმართა თანხლებით გადავიდა ახალციხის საფაშოში.

ოსმალეთში სოლომონ მეფე ბევრს ეცადა სულთანის დახმარება მიეღო იმერეთიდან რუსების



გასადენად, მაგრამ რუსეთის გადაკიდების მორი-  
დების გამო უარი მიიღო. ამ დროს იმერეთშიაც  
დიდი უბედურება გაჩნდა. საშინელო სიმშვილს  
ჟამი მოყვა, მოსახლეობა თითქმის განახევრდა.  
ასეთ პირობებში ქვეყნის განთავისუფლებაზე  
და ტახტის აღდგენაზე ფიქრი ზედმეტად იყო და  
მარტოდ დარჩენილი, დამწუხრებული მთელი გა-  
რდაიცვალა 42 წლისა ტრაპეზუნს 7 თებერვალს  
1815 წელს. მის საფლავს თავიანთსმცემლებმა  
შესანიშნავი ძეგლი დაადგეს.

ასე დასრულდა სიცოცხლე ამ დიდი ქართვე-  
ლისა, რომელიც იშვიათი მამაცობით იცავდა  
თავის ქვეყნის თავისუფლებას და თავგანწირ-

ვით ომბოდა რუსული ბორკილების ასაყრე-  
ლად.

ეს დრამატული ბოლო სოლომონ მეფისა  
იმიტომ მოვიყვანეთ, რომ უფრო მწვავედ ვიგრ-  
ძნოთ მიუტევებელი დანაშაული მის წინაშე,  
რომ დამოუკიდებლობის დროს, როდესაც ამისი  
საშეაღება გეჭონდა, მისი ნემსით საქართველო-  
ში არ გადმოვასვენეთ და არ მივაბარეთ მშო-  
ბლიურ მიწას, მის დიდებულ წინაპართა გვერ-  
დით.

წამებული მთელი ამას მოელოდა...

კ. სალია

ქ რ ო ბ ე რ ტ ბ ლ ე ი კ ი

ქართული ენა და მწერლობა ყოველთვის გან-  
საკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდნ მც-  
ნიერული ფილოლოგიისათვის,—ენა მისი ენათ-  
მცნიერული მდგომარეობით კაცობრიობის ენა-  
თა ჯგუფთა შორის, მწერლობა მისი დიდი ლი-  
რებულებით.

ამიტომ ქართულ ფილოლოგიას ყოველთვის  
ჰყავდა თავისი წარმომადგენლები არა მარტო  
რუსეთში (ფოჩანგი ბროსე, ქართველები: ჩუბი-  
ნაშვილი, ცაგარელი, მარრი), არამედ ევროპა-  
შიც (ინგლისში მორფილი, შემდეგ ვორდროპი,  
კონიბირი, ბოლოს სტივენსონი; საფრანგეთში  
ბრიერი, დიუმენილი და სხვ.; გერმანიაში შუ-  
პარტი, შემდეგ დეტერსი და სხვ.; ბელგიაში პე-  
ტერსი და სხვ.). ბოლოს ინტერესი ქართული  
ფილოლოგიისათვის ამერიკაშიც გაჩნდა და მისი  
ლირსული წარმომადგენელი იქ იყო აწ განსვენ-  
ებულ **რობერტ ბლეიკი**.

იგი პეტერბურგში სწავლობდა ქართულს ნ.  
მარჩთან პირველი დიდი ომის ხანებში. 1920 წ.  
მე ვავიციანი ახალგაზრდა წვენიერი შესახედავი,  
ტან = მაღალი ქერა ვაჟაკი ბლეიკი თბილისში.  
ქართულ უნივერსიტეტში ბერძნულს პროფე-  
სორად იყო და თან ქართულის სწავლას განა-  
გრძობდა. შემდეგ იგი დაბრუნდა ამერიკაში და  
ჰარვარდის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, ჰქო-  
ნდა იქ საპატიო თანამდებობა ბიბლიოთეკა-  
რის და ასწავლიდა სხვა და სხვა ენებს და მათ  
შორის ქართულს, რომელიც მან კარგად იცოდა,  
ძველიც და ახალიც (მეტყველებაც კარგად შე-  
ეძლო ქართულად), და რომელიც მისთვის რჩე-  
ული იყო. განსაკუთრებულ პატივს - სდებდა

განსვენებული ქართულს და თვის კვლევათა  
საგნად მან ქართული ენა და მწერლობა გაიხა-  
და, — განსაკუთრებით უკანასკნელი. მან გამოს-  
ცა ძველი ძეგლები ქართული მწერლობისა, მკა-  
ცრი მცნიერული მეთოდით შესწავლილი და  
დამუშავებული (პალიმფესტები და სხვ.), სხვა-  
თა შორის ებიფანე კიპრელის თხზულების  
(„თვალთათვის“) ქართული თარგმანი (ბერძ-  
ნულიდან). ბოლოს კი სწადდა გამოცემა ქართუ-  
ლი ბიბლია. ეს გამოცემა მართლაც დიდი საქმე  
იქმნებოდა, რათგანაც მცნიერულად გამოცემუ-  
ლი ქართული ბიბლია საქართველოშიც არ მო-  
გვევოგება. მისი სიკვდილით ეს საქმე შეწყდა და  
ისიც არ ვიცით, დასტოვა თუ არა განსვენებულ-  
მა თვისი მოადგილე, მოწაფე, რომელიც მის  
მიერ დაწყებულ საქმეს განაგრძობს და დაასრუ-  
ლებს.

განსვენებული კიდევ ენახე, 1932 წელს ბრაუს-  
სელში. ბლეიკი აღარ იყო ის წვენიერი ახალ-  
გაზრდა, რომელიც მე ვავიციანი თბილისში 1920  
წელს, არამედ სიმსუქნის სენის გამო უაღრესად  
დასხვილებული კაცი. ძლიერ სწუსდა, რათგა-  
ნაც იცოდა, რომ ამ სენისაგან ველარ ფანკურ-  
ნებოდა და ის მოულოდნელად მოუღებდა ბო-  
ლოს მის სიცოცხლეს. განსვენებულს მართლაც  
ეს ბედი ეწვია, მაგრამ ღვაწლ- მოსილი ვავიდა  
ამ სოფლიდან, წარუშლელი კვალი დასტოვა  
თვისი ცხოვრების ვზახედ.

ეს ღვაწლი მისი ჩვენთვისაც, ქართველთათვი-  
საც დიდი იყო და ამიტომ საუკუნოდ დარჩება  
სახსენებელი მისი ჩვენ, მის მაღლობელთა შო-  
რისაც.

მ. წერეთელი



### მამა პ. პეტერსის გარდაცვალება

ბრუსელში 18 აგვისტოს გარდაიცვალა მამა პეტერსი, 80 წლისა.

მსოფლიოს მეცნიერულ წრეებში განსვენებული სახელგანთქმული იყო მეცნიერული შრომებით, თუმცა ფართო საზოგადოება მას არ იცნობდა, რათგან იგი იყო ბერი და ეწეოდა მწირობის ცხოვრებას. — პეტერსს ჰქონდა მრავალი საპატიო ადგილი: ის იყო თავმჯდომარე ბოლანდიისტთა საზოგადოებისა, წევრი ფრანგული ინსტიტუტისა და სხვ. ის იყო აგრეთვე ლორენტი 1950 წლის ისტორიული მეცნიერების ჯილდოსი.

დიდხანი არაა, რაც მას გადაუხადეს 60 წ. იუბილე მისი საეკლესიო და სამწიგნობრო მოღვაწეობისა და მართლაც განსვენებულის ცხოვრება იყო განუწყვეტელი კვლევა - ძიება. მას გამოქვეყნებული აქვს ასობდე ნაშრომი.

იგი იყო ენების იზვიათი მცოდნე. დასავლეთ ევროპულ ენათა გარდა იცოდა სლავური ენებიც. აგრეთვე დიდ მცოდნედ ითვლებოდა აღმოსავლეთის ენებისა. მან იცოდა სირიული, კობტური, ეთიოპიური სომხური, სრბული და სხ., და იცოდა ქართულიც, რომელიც მას „განსაკუთრებით უყვარდა“-ო ამბობს პროფ. გრეგუარი. მიუხედავად იმისა, რომ იგი საქართველოში არასოდეს არ ყოფილა, მან შეისწავლა ჩვენი ენა და ძველი ქართულის ფრამმატიკაც აქვს დაწერილი, აგრეთვე მრავალი გამოკვლევა ჩვენი საეკლესიო და წმიდათა ცხოვრებისა. წმიდა მიხეი-

ლის ინსტიტუტში, სადაც ის მოღვაწეობდა, მან თვალსაჩინო ქართული სამკითხველოც შექმნა.

მის ყველა ნაშრომთა მთავრობება განძრახული აქვს ბოლანდიისტთა საზოგადოებას. ეს შრომები ათეული წლების განმავლობაში გაბნეული სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში. ქართულ ნაშრომებსაც, რომლებიც უმთავრესად **Analecta Bollandiana** -ში იბეჭდებოდნენ, ერთად ექნება თავი მოყრილი და ამით ის ჩვენთვისაც ადვილად ხელმისაწვდომი გახდება.

ბუენიერება მქონდა ორი წლის წინად მენახა მამა პეტერსი მისს ქართულ სამკითხველოში. განსვენებული სხელით უკვე ძალზე დასუსტებული იყო, მაგრამ იზვიათი გონება - მახვილობით და მეხსიერებით აღჭურვილი. თითქოს მთელი მისი ფიზიკური ძალა გონებრივმა ცხოვრებამ წაიღო. მისი მაღალი შუბლის უკან ყველას და ყველადურს ჰქონდა თვისი უჯრედი. ძალაუნებურად წარმომიდგენ თვალ წინ ჩვენი დიდი სულიერი მამები, რომლებიც გახიზნულები ამ ქვეყნიურ ცხოვრებიდან, ეწეოდნენ უდიდეს საქვეყნო და სამღვთო მოღვაწეობას.

მამა პეტერსის სიკვდილით საქართველომ დაჰკარგა დიდი მეგობარი და მკვლევარი ქართული კულტურისა.

„ბ. ქართლისა“-ს სრულდაცვისა და „საქ. კულტ. შესწავლის საზოგადოების“ სახელით უღრმეს თანაგრძნობას გუცხადებთ განსვენებულის მეგობრებს.

ი. ო. - ი

### ექსპრესიონიზმი

ფორმულა პირველი:

მე მსურს ავსახო საგანი. ისე: როგორც არსებობს საგანი თვითონ. არც მეტი არც ნაკლები. თითქო ვარე სუბიექტისა. მთელი ენერგია საგნის სისწორით ვადმოცემისათვის.

ეს იქნება ნატურალიზმი.

ფორმულა მეორე:

მე მსურს ავსახო საგანი. ისე: როგორც ჩემს შთაბეჭდილებაშია იგი ახატული. არა საგანი თვითონ, არამედ ჩემი შთაბეჭდილება. არავითარი ზედმეტი. მთელი ენერგია მხოლოდ შთაბეჭდილების დაჭერისათვის.

ეს იქნება იმპრესიონიზმი.

ფორმულა მესამე:

მე მსურს ავსახო საგანი არა ისე: როგორც არსებობს საგანი თვითონ, მაგრამ არც ისე: რო-

გორც ჩემს შთაბეჭდილებაშია იგი ახატული. არამედ ისე: როგორც არის იგი ვარდაქმნილი ჩემს სულში. მთელი ენერგია საგნის ვარდაქმნისათვის. არა ნაკლები.

ეს იქნება ექსპრესიონიზმი.

მნელია ორი მიმართების შორის, საგნისადმი თუ ამსახველისადმი, რომელიმეს მეტი კლრსივი არ მისცე. თუ პირველს გაუსვი მეტი ხაზი, ექსპრესიონიზმი იქნება ექსტენსიური. თუ მეორეს გაუსვი მეტი ხაზი, ექსპრესიონიზმი იქნება ინტენსიური. ტერმინები **ფებტერისა**.

მაგრამ ორივე შემთხვევაში ექსპრესიონიზმისათვის თავი და თავი საგნის ვარდაქმნა სულით და არა უბრალო ასახვა.

ნატურალიზმთან ომში იგი ბლოკითაა შეკრული იმპრესიონიზმთან. ნატურალიზმთან



ომის დამთავრების შემდეგ იგი იწყებს ახალს ომს იმპრესსიონიზმის წინააღმდეგ. ექსპრესიონიზმი ანტი-იმპრესსიონიზმი.

იმპრესსიონიზმი უკანასკნელი სიტყვა იყო საფრანგეთის სახვითი ხელოვნების. უკანასკნელი: მასშტაბის სიდიდით. ედუარდ მანესათვის პირველი იყო შთაბეჭდილების „სიწმინდე“: პირვანდელი, შეუღლებელი, ცინცხალი, აბსოლუტური უშუალო, არგაფუჭებული რეფლექსით. იქათი სიტყვით, ქალწულური შთაბეჭდილება. ამსახველი თითქო თავისებური აპარატი ჟნდა იყოს, რომ სისწორით დაიჭიროს „პირველი“ შთაბეჭდილება. „მოგონებული წარმოდგენა“ (გახსენებული) მისთვის არ არსებობდა. შემოქმედი იქცა პისსივ ამსახველ ფირფიტად. აქედან: სიკვდილი „სურათის“ და გამარჯვება „კოლორის“. თავდათავი: პლენერიზმი. პერსპექტივის აღადგს ლაქები მხოლოდ. განმორყობით—საგნები ჰქრებიან: ინტეხიან თვალისმჭრელი ფერებში. სახე განათლებული ცივი დღის სინათლით ქრთი მხრით და მწვანე ფოთლებით მეორეს მხრით—პირველ შემთხვევაში მოლურჯოა, მეორეში მომწვანო. ტყვილად არ უწოდეს იმპრესსიონიზმს „ხელოვნება ახლო-მხედველთა“.

რეაქცია იმპრესსიონიზმის წინააღმდეგ ჯერ თვითონ საფრანგეთში დაიწყო. ცნობილია პოლ გოგენის ამოძახილი: „განზე ბუნება, უკან სურათისაკენ!“.

გერმანიაში ეს პაროლი მთელ მიმართულებად გადაიქცა. იყო აქ პატრიოტული მოტივიც: თავის დაღწევა ტყვეობისაგან ხელოვნებაში. მაგრამ კიდევ იყო სხვა რამე: ევროპის დიდი ომი და რუსეთის დიდი რევოლუცია. რატომ მაინცა და მაინც გერმანიაში—ამის შესახებ ბოლოს. აქ მხოლოდ ეს სიტყვა: ამ ორი დიდი მოვლენის განცდაში მიუღებელი დარჩა პასსივიზმი იმპრესსიონიზმისა. ამსახველი პასივიურ კი არ უნდა „იძლეოდეს“ საგანს, რომ მიიღოს შეუღლებელი „შთაბეჭდილება“, არამედ აქტივიურ უნდა „იურვებდეს“ საგანს, რომ მიიღოს მისი ქმედითი „გარდაქმნა“. აი ფორმულა საქმისათვის. პირველად ეს ფორმულა გაიხაზა სახვით ხელოვნებაში, შემდეგ—ხელოვნებაში საერთოდ, ბოლოს—მსოფლიო გზნების რეკლამაც შეიქრა.

კარვად იტყვის **მაქს პიკარ**:  
იმპრესსიონიზმს არ უცლია გამოეყო საგანი და განეცალკეებინა იგი. იგი არ იღებდა თავისთავზე პასუხებას საგნისათვის. მისთვის თავიდათავი იყო ურთიერთმიქცევა საგნების და არა

თვითონ საგნები. საგანი, ამ ურთიერთმიქცევით გამოხმობილი, უკანვე ინტეხებოდა უსახელო ქაოსში. ექსპრესსიონიზმს გამოჰყავს საგანი ამ ქაოსიდან. იგი სახელოს არქმევს საგანს, მაგრამ უბრალო მიმართვა საგნისადმი საემაო არაა, რომ საბოლოოდ გამოგლიჯო საგანი ვარემოცულობას: საჭიროა მისი გარდაქმნა. აქედან: საგანთა ტიპიზაცია. აუცილებელია საგნის წმინდა ლოგიკა. შინაგანი არსი საგნისა და არა მისი აფექტი: აი მთავარი.

ერთი სიტყვით: აქტივიზმი სულის.  
ექსპრესსიონიზმი ამ აქტივიზმს ავრცელებს ყველგან.

„საგნის გარდაქმნა სულით—მამასადამე სული და სულობა თავიდათავი“: აი სხვა ფორმულა. „სულობა“ ექსპრესსიონიზმისათვის არის მეტაფიზიური ცნება და არა ფსიქოლოგისტური ტერმინი. პირიქით: „ფსიქოლოგია“ განდევნილია.

**ლუდვიგ რუბინერ** ამბობს: ყოველი მომავალი თქმა იქნება არა ფსიქოლოგია, არამედ მეტაფიზიური. ჩვენი რეალობის ლექსიკონით, იგი იქნება ეთიური გამოსავალი მუხლი: სიცოცხლე აბსოლუტურში. მიზანი: სიცოცხლე ინტენსივობაში. ინტენსივობა სიმბტომია სულის ქმედების.

კიდევ უფრო ძლიერ მეტყველობს **კაზიმირ ელშმიდ**:

ახლა ხელოვნებაში —  
აღარ არის ამბავი ცოლქმარის შესახებ,  
აღარ არის ვარემო, აღარ არის ვიწრო არე,  
აღარ არის ტრაგედია „თულობით“ გამოწვეული,  
აღარ არის მხარული აფიცერი.  
აღარ არის ტიკინი ფსიქოლოგიური ქსოვილით,  
აღარ არის ტიკინების სიცილი, ტირილი,  
საზრისი—

არის მხოლოდ ადამიანი უბრალო,  
უშუალოდ შერთული კოსმიურ ყოფას.  
იგი არ ფიქრობს თავის თავზე—  
იგი განიცდის თავის თავს.  
იგი არ არის არც უკაცური და არც ზეკაცური:  
იგი მხოლოდ ადამიანია: როგორც მოავლინა  
შემქნელმა.  
აქ აღარ არის ჩვეული „ფსიქოლოგია“ და  
მისი აპარატი.

განცდა მიდის მარტივი გზებით:  
მან არ იცის ადამიანის მიერ შექმნილი  
ხვეულები.  
იგი არ თამაშობს მალულაობას საგანთა  
გარშემო,

იგი წვდება თვითონ მათ შესაგულს.  
 აქედან: უარყოფა ატომიზმისა და  
 იმპრესსიონიზმის დეტალებისა.  
 მატერიის გარღვევით—მატერიის  
 ასულიერებულ ექსტრაქტისაკენ“.

**იულიუს ბაბ ამბობს:**

ფსიქოლოგია ისეთნაირადვე ნაკლებ ლაპარაკობს ადამიანზე, როგორც ანატომია.

**ვილჰელმ ჰაუზენშტაინ ამბობს:**

თაყვანების ადგილს იკავებს სიცხარე, მორჩილების ადგილს—გახელება, უშუალო ცდის ადგილს—ლოდინი ცხადების, ქვრეტის ადგილს—ხილვა, იმედის ადგილს—ექსტაზი. ხდება აფეთქება საგნების.

ექსპრესსიონიზმში კაცია აღებულია თავის თავად: ყოველის გარე. კოსმოსსა და კაცს შორის აღარ არის არავითარი ზღვარი ან ზღუდე. ატომიზმი განცდებისა უარყოფილია. არის მხოლოდ ერთი გრძნობა: კოსმიური გრძნობა: ყოველის შემცველი და ყოველის დამტყვეველი, განუყოფელი და განუწყვერებელი. წამი არა—არამედ მარადისობა. აქედან: ელემენტარობა და პრიმიტივი (ამ სიტყვების არა ფულგარულ გაგებით).

ხელოვნების საგანია სულის აქტივობის ცნაურობა.

სული ომს უცხადებს თვითმპყრობელს მატერიას.

სული ილაშქრებს „რეალურ ფაქტების“ წინააღმდეგ.

სული არღვევს „ყოველდღიურობის ფიზიკას“.

იგივე ჰაუზენშტაინ კარგად იტყვის: ხელოვნება—ეს დაქვრია საგნებზე ღვთის კვალისა.

იგი იტყვს ღვთიურ ნომოსს სამყაროსას.

მაგრამ რა გზით?

მხოლოდ ექსტაზით. ექსტაზით უნდა გაარღვიოს სულიმა ტრანსცენსია. მხოლოდ მაშინ იხილავს იგი ღმერთს.

შესანიშნავ სიტყვას ამბობს ამის გამო **დობლერ:**

„როცა ვისმე ჩამოახრჩობენ, იგი უკანასკნელ წამს ერთხელ კიდევ განიცდის მთელ თავის სიცოცხლეს:—მხოლოდ ეს შეიძლება იყოს ექსპრესსიონიზმი!“ აქ ექსტაზი წამებამდეა დაყვანილი.

ახალი სული ნახულობს ახალ რიტმს გამოთქმისას. ფრაზები სხვარიც იქსელებიან რიტმში, მელიოდია მართავს მათ. მაგრამ ეს არ არის

თვითმიზანი, იგი ექვემდებარება მათ გამაფორმებელ სულს. ფრაზები აღარ იკვირან „ლოგიური გადასვლის ბუფერით“, სიტყვა იღებს ახალს ძალას. სიტყვა ამწერელი ჰქრება. „სიტყვა ხდებდა საგნის შესაგულს და ხდება მის კრისტალურ ხატად“ (ედმონდი). იქმის ახალი ლექსიკა და ახალი სინტაქსი.

ექსპრესსიონიზმი ყველგან ნახულობს კოსმიურ გრძნობას. საკმაოა გავიხსენოთ გრეკო, ზენატურალიზმი გოტიკისა (ქიმერიზმი), გოტიური პრიმიტივი და პრიმიტივი საერაოდ, ველურების ფეტვები, ძველი პაპირუსი, ინდოეთის კოლოსი, ზანგების ნაშენი, გრიუნევალდ და მრავალი სხვა.

ქმედითი ფორმა ექსპრესსიონიზმისა ექსტაზია. ამ მხრით იგი ეწინააღმდეგება გოეტჰეს ფორმას. გოეტჰეს ფორმა იყო: „კეთილშობილი სიმარტივე და წყნარი სიდიდე“. აქ კი აგარდნა და გადალახვაა. გოეტჰე სწერდა ცელტს: განსხეულებაა ქმნილება ბუნებისა და ხელოვნების და სხეულებსაში უნდა იყოს სპეციბიკაცია (აუცილებელი ხაზების). «Es ist keine Kunst sein Talent nach individueller Bequemlichkeit humoristisch walten zu lassen». ამას გოეტჰე რომანტიკოსებზე ამბობს, მაგრამ რამოდენიმეთ ეს შესაძლოა შეეხოს ექსპრესსიონისტებს. უკანასკნელთა სიტყვა შეჩვიდმეტე საუკუნის ბაროკოს კონცეფციასა და მოწამეობის სურვილი. აქ ნათელი და დახვეწილი ხაზები კი არაა, არამედ გრივადი და ნივდვარი. საკითხავია: ეგუება თუ არა გერმანელობის სულს ეს ქმედითი ფორმა? თუ გოეტჰეს ავიღებთ მაშინ რესაკვირველია—არა. მაგრამ გოეტჰეს გარდა გერმანელებს ჰყავთ გრიუნევალდ და დიურერ, ხომ ეძახდენ უკანასკნელის ქმნილს „რისხვიან პორტრეტს“?!

არის კიდევ სახელი, რომელსაც უნდა დაეპირაპიროს ექსპრესსიონიზმი: ფრიდრიხ ნიცშე. მაგრამ ეს ცალკეულ ექსპურსის საგანია. აქ მხოლოდ ის უნდა ითქვას, რომ ნიცშეს იმმორალიზმი ექსპრესსიონიზმისათვის მიუღებელია. სხვა საკითხია ნიცშეს სწავლა ექსტაზზე და ნიცშეს სტილი. აქ შესაძლოა ნათესაური კავშირის გამოხატვა.

როგორც აქტივისტები, ექსპრესსიონისტები სოციალ-რადიკალისტებია, ზოგი მათგანი კომუნისტიცაა (როგორც მაგალითად ერნსტ ტოლერ).

არის თუ არა ახალი ექსპრესსიონიზმი როგორც მიმართულება?



ჩემს საჯარო მოხსენებაზე მე განეცხადე: არა. სამწუხაროდ გერმანიაში ერთი-მეორეს ურევინ იმპრესიონიზმსა და სიმბოლიზმს. ეს არევა მიუტყვებელია. შორს არ წავალ. აიღეთ თუ ვინც რუსეთის სიმბოლიზმი (ვიანესლავ ივანოვი, ალექსანდრი ბლოკი, ანდრეი ბელიი). აქ ექსპრესიონიზმი მთელი მისი ფორმულებით უკვე მოცემულია. მე შემთხვევა მქონდა ურიცხვი ციტატებით დამემტკიცებინა ეს დებულება. აქ მას არ განვიმეორებ.

მაგრამ როგორც „ტონოსი განცდისა“, ექსპრესიონიზმი უთუოდ ახალია. გერმანია, ომში დამარცხებული, ჰეროული სიმტკიცით შეხვდა ბედს. გამაჯგვების გრძნობა მათობელია, დამარცხების გრძნობა დამამტკიცებელი. მაგრამ დამარცხებაში რომ თავის თავი იგრძნო შინაგან მაგრად—ეს კათარზისა ნამდვილი. აქ არის მოცემული ყოველი კუნთის დაჭიმვა. აქ არის დაწვრივა უკანასკნელი, აქ არის წვა საშინელი, აქ არის ლოდინით ავისილობა. ცხადია: აქ ბუდობს ნამდვილი ექსტაზი დიდი ხილვისათვის. ეს ტონოსია ექსპრესიონიზმის ხერხემალი. აქ

არის ისიც მოცემული, რომ ექსპრესიონიზმი, როგორც მიმართულება, ჯერჯერობით მხოლოდ იერმანის ფარგლებშია მოქცეული.

ორი სიტყვა მიღწევის შესახებ.

ლირიკაში ექსპრესიონიზმი ვერ შეედრება სიმბოლიზმს: ვერც საფრანგეთისას და ვერც რუსეთისას. დრამაში კი მისი გამაჯგვება დიდია (გეორგ კაიზერ, ფრიც ფონ-უნრუპ, ფრანც ვერფელ და სხვ.). აქ უთუოდ არის მოცემული ახალი ხაზი. მაგრამ ესეც სხვა ექსპურსის საქმეა. საგულისხმოა, რომ დრამა ჯერო განვითარდა. ეს კიდევ უფრო ამახვილებს შემოთქმულს. ტონოსი კოლექტივის მონოლიტური ნების, ცხადია, დრამაში უფრო ცხადპყოფდა თავს, ვიდრე ვიწრო პიროვნულ ლირიკაში.

მინაწერი. ექსპრესიონიზმი უკვე წარსულს ეკუთვნის—როგორც „შკოლა“. ხოლო მის მიერ გავლებული კვალი არ არის მთლად წარეცხილი. ვფიქრობ: ეს ძველი ესკიზი არც დღეს უნდა იყვეს ინტერესს მოკლებული.

გრიგოლ რობაქიძე

ჩ ე მ ი ლ ო ც ვ ა \*)

მეუფეო, ჩემი ლოცვა დღეს იქნება სულ სხვა  
გვარი:  
მე არ მინდა სასწაულად მომივლინო ნინოს  
ჯვარი,  
ახ, არ მინდა მე არც საბა, ახ, არ მინდა არც  
ისახარ —  
დღეს ჩემს გულში, მეუფეო, სულ სხვა ლოცვა  
ჩაისახა:  
მე მინდა რომ საქართველო, — ეს სამოთხის  
შევების წყარო, —  
მტრებს არ მისცე საჯიროთოდ შეიტკბო და  
შეიყვარო!...

მეუფეო! ყოველ მხრიდან გვეხვევოდა მტერი  
გველად:  
ჩვენი სულის ჩასაქრობად, ჩვენი ნიჭის  
ასაგველად;  
სელჯუკები, მონღოლები გვეცემოდნენ  
ურდო - ურდოთ...  
მაგრამ კმარა მეუფეო, აღარა გესურს  
გავიქურდოთ,  
გვეყო, გვეყო ეს სასჯელი, ესოდენი ჭირი, სენი...  
საქართველო, მეუფეო, დაიხსენი... დაიხსენი...

ღმერთო! ხმლების ნიშნობაში ბევრჯელ დილს  
დავაღამეთ,  
ბევრჯელ ჩვენი პერანგები მტრების სისხლით  
გავახამეთ —  
და ჰა, ღმერთო, ხელაპყრობით გვედრება  
ხალხის გული:  
მზით შეგვიმეე ჩვენ ეს შუბლი, შუბლი  
ტანჯვით გადახნული,  
დაგვაძინე როგორც ქარი, გაგვაღვიძე როგორც  
მთვარე...  
საქართველო, მეუფეო, დაიფარე, დაიფარე...

მაგრამ თუ კი — ოი, ღმერთო — ჩავვითვლიან  
ლოცვას ტყვილად:  
ლოცვას წყევლად გადავაქცევთ, ავადულებთ  
ცრემლებს ტყვიად, —  
და ვაი მას, ვინც მტრის სტვირზე, თავის ჰანგსაც  
ახმატკბილებს,  
მას პასუხსაც არ ვაკადრებთ, მას ჩაუმტვრევთ  
სიბრძნის კბილებს,  
მას მხამადაც შერგებია ჩვენი დედის ტბილი  
ხსენი...  
საქართველო, მეუფეო, დაიხსენი... დაიხსენი...

\*) ჟურნ. „ილიონი“, № 1, ტფილისი, 1922 წ.

ი მ ე რ ე თ ს

შენ ველარ გიმზურ, ჩემი სიმღერა  
ალარ მოესმის შენ ცისფერ ველურს.  
მე მშობლიური დავკარგე კერაც,  
და მაინც გიწვდი ალერსით ხელებს.

რათ მსაგონდება ასე უღმერთოდ  
შენი თხემები ჩამოქცეული?  
რათ მინდა მოკვდე და შეგვიერთო  
შენ ჩემი სისხლი, ჩემი სხეული?

რათ შემეყვარდა დღეს ისევ - ისე  
ხაზში, წვიმები და ღელეები,  
ზღვად მოვარდნილი შენი მათისი,  
ქაჯებით სავე შენი ტყეები?

ვიცოდე მაინც, რათ არ მასვენებს  
ქოხში სმენილი სიმღერა ტკბილი?  
ზაფხულის წვიმა ისევ მასველებს  
ისევ მომკვეთა ალუჩამ კბილი.

ისევ ძროხები მიდიან წელა  
ვიწროთ ამოჭრილ სოფლის შარაზე,  
და მზის ჩასვლამდე თახები ელავს  
აბიბინებულ გლეხის ყანაზე.

მე თითქო ახლა „ცქერა ამცრა,  
და გამოფეხიზლდი მძინარ გონებით...  
თითქოს ამღერდნენ ჩემში უეცრად  
ანგელოზების ლეგიონები!

და მინდა დავთვრე უკანასკნელად  
ამ ულავვარდეს უძირო ზეცით!  
მოვხილო ჭადი, როგორც რომ ძველად,  
და ავაფიცხო შუა ცეცხლთან კეცით.

არა, არასდროს არ მეღირსება  
გადავიწყება შენი სიმწვანის!  
გხედავ — მარნები მაჭრით ივსება,  
და ოქროთ ღელავს სიმწიფე ყანის.

ხელახლა სოფლის ვიწრო ბოგირზე  
გააქვს ჭრიალი შუალამით ურემს,  
და გლეხსაც სძინავს ყანის ნაპირზე,  
როცა შუადღის მზე გადმოახურებს.

ქვეყანავე ჩემო, ზეცით ნაკურთხო,  
უხვად მორწყული მზითა და მთვარით!

მე უბინადრო ვარ, დავეძებ კუთხეს —  
მომეცი შენთან თავშესაფარი?

ისევ შემოიშვი ღარიბ ფაცხაში,  
სადაც ქართულად აკვანს არწივენი;  
მანახე შენი ზეცის კაშკაში,  
მასმინე ხმები გულს რომ სნგრევენ.

რომ კიდევ ერთხელ დავიკაპიწო,  
გადავირბინო შენი ნახები,  
რომ შიშველ ფეხებს მომაცხო მიწა,  
ვიყნოსო კვამლი შენი ქოხების.

რომ ხელმეორეთ ვიგრძნო სინაზე  
ჭალადიდის და ორპირის კუთხის, —  
სადაც ჩანგლებით სოველ სილაზე  
ამოათრევენ კულებით ზუთხებს.

სადაც ტყეები, ჩამდგარი წყალში,  
გარშემორტყმულან მალალ ისლებით,  
და ზეცის კიდეს, გახვეულს ალში,  
მქიმედ არხევენ ლურჯი ნისლები.

მოვსულვარ შენთან შერიგებული,  
რომ ვითხრა მაინც: „სიხმარი ახდა.  
მე ვარ ბულბული ამღერებული  
ატორებული საყვარელ ბაღთან!“

რომ ვითხრა მაინც: „კიდევ ეს გული  
სალამურივით მკერდში მიმღერის...  
რომ ვარ ქართველი, ქართული რჯულის,  
და მიყვარს შენი ქვიშა და მტვერიც!“

და თუ მე დღემდე ბელს ვეჭიდები,  
სჩანს მშობელ ზეცის კურთხევა მიცავს...  
მოვედი შენთან, რომ მორიდებით  
კიდევ ვემთხვიო შენ წმინდა მიწას!

კ. ნადირაძე

მ ა მ უ ლ ს

მიყვარხარო შენა, ხან ჩაფხუტში, როგორც  
ხევსური,  
ავღარში ნაბლით, ამინდებში ფაფანაკებში,  
მაშინაც, ოდეს შენი ღმინის მესმის ზევსური,  
მაშინაც ბრძოლის დახმარობ როს ბანაკებში  
და შორიდგანაც, სადი კდემილი შენი მშვენება.  
ისე დამიდის წინ ვით ხატი და მოჩვენება.





მიყვარს შენს ტყეთა შეფიცული ღამის მთევარი  
 და პაემანი ბრძოლებისა, თიადი ჩვილი,  
 თავისუფლების ჩიოს ლანდისა უქმად მდევარი  
 ჩვენ გვატარებდა უკმეზ შუბლით ჩოლოყაშვილი.  
 და ჩვენთა ცხენთა ნატერფალებს მტერი თან  
 სდევდა,  
 და ლტოლვილსა გზას გვივარძლებდა მარცხი  
 და სევდა,

ნუ თუ ვერ ვნახო შენი ველის მე უტევანი  
 შენს ირიბს გზებზედ ურემი რომ ზანტად  
 ძირს ღელავს ყანა და ფერდობზედ მომწიფს  
 მტევანი  
 და სკერებზედაც ჯიხვი ფრთხილად უვლის  
 ფრიალებს,  
 მალლა ნაზიდი გუმბათები და ჯვარი სადა,  
 პაეროვანი ჩარდახები შენ ფირუზ ცაათა.

შენთა ასულთა ნუ თუ ვეღარ მხვდეს მე  
 ალი მწველი,  
 არა ტრფოზისთვის, ჩემთვის უკვე მწარ ნაგემისა,  
 რომ შათ შეუნდო ჭრილობანი გულისა ძველი  
 და დაგილოცო სახალ მოდგმა ძველის თემისა,  
 რომ სიკვდილისა მანდ მომესმან მეც ხმანი  
 ბოხნი,  
 და იქ დავიფლა, სადაც წვანან მეთანამბოხნი.

1925 წ.

† შ. ამირეჯიბი

### სურათი საქართველოს დამეაზიდან

#### I

#### ღამე განთიადისკენ

ნაცრის - ფერ, სირმით, ნაფერ ტირიფებს,  
 თეთრი ტერფები  
 ჩაუდგამთ წყალში,  
 ისე ვით ბავში,  
 თამაშობს ლანდი,

ძძინარე ვარდის სურნელებაში .  
 წყალზე ღრუბლებმა დასტოვა მთვარე,  
 გააღებს თვალებს,  
 ღამის ზღაპარი,  
 და ლურჯისა სივრცეს,  
 ცათ გადანაწოლს,  
 საწოლს გაუფებს სოფლის ამბავი.  
 ჭრიჭინის ჭრიალს, ღობიდან - ღობა,  
 ვინ გაუბედავს  
 ხელის შეხებას,  
 შრიალა ვერხვებს,  
 სიო ეძახის,  
 ვენახის კოცნა მტევნებს ცხვეცა.  
 სამყურა ბალახს აცრემლებს ცვარი,  
 სიმინდის ზღვარი  
 იგრებს უღვაშებს,  
 ალერდი ნაზად  
 მხრებს აკანკალებს,  
 რძით საესე კაკლებს ეტმასნის ქურჩა,  
 სოფლისა ქურჩას, სიჩუმე ფარავს,  
 ტყეების ფარა  
 მთებს მოდებისა,  
 დღის ოდელია = ს  
 ქოხებში სძინავს,  
 პატარა ცირა უცინის სიზმარს.  
 ცის კილით — კიდე, ლურჯ სამყაროში,  
 ოქროს საჩუღალი,  
 ღამის ნადავლით,  
 ვარსკვლავთა ჯვარის,  
 დინჯათ გადავლით,  
 საომრად იწევს განთიადისკენ.  
 გადმოიხედავს მალალ მთებიდან,  
 სხივთა თმები და  
 ლურჯი ქალწული,  
 ხვთება ქვევიდან  
 სოფლის მთქარება,  
 ღამის ზმანება, მზე — სიხარული.

გიორგი ყიფიანი

პარიზი 1949 წ.

### ინსო - ჭრისტან მოკლვრება და ქართველი შერი

#### წერილი მებუთე

საქართველოს ტახტზედ ამობრწყინდა თამარ-  
 რის სხივოსანი გვირგვინი.  
 თურქნი, ირანელები, მონღოლები და სხვანი,  
 ჯერ ცალ - ცალკე, შემდეგ შეერთებული ძალებ-  
 ბით, არა ერთხელ შეცვადნენ თამარის ძლებ-

მოსილება შეერყიათ. ამაოდ. თვით ბიზანტიაც,  
 იქვით გამჭვალული, უფრო მტრულად, ვიდრე  
 მეგობრულად იყო თამარისადმი განწყობილი.  
 თამარი ყოველს დასძლევს და მის მეფობისას,  
 საქართველო თავისი განვითარების და ძლიერე-

ბის უმადლეს წერტილს მიახწევს: პოლიტიკურად, დიპლომატიურად, სამხედრო ძალებით, მატერიალური სიმდიდრით, პოეზიით, საჩუქრით და სულიერი სიმაღლით.

დასაფასებლად იმისა თუ, ფორმის სილამაზით და შინაარსის სიღრმით რა მწერვალმდის აღმადლდა თამარის დროინდელი ქართული პოეზია საქმარისა შოთას ქმნილება. ძნელად დასაჯერებელია, რომ მუსიკა, მხატვრობა, ხუროთ-მოდგერება და აზროვნება არა ყოფილიყვნენ, დაახლოვებით მაინც, იმავე დირსებისა, როგორისაც პოეზია იყო, რათგან — ჩვეულებრივად, პოეზია, მუსიკა, ხელოვნება და აზროვნება, ერთი-მეორის ზეგავლენით, ერთად აკვადდებიან ხოლმე, თამარის დროს თავისუფლად გარდაიფუჩქნა ქართველის ქრისტიანული სული და მისი ქრისტიანული ცივილიზაცია.

ქალთა და ვაჟთა თანასწორობა; უმანკო გრძნობა სიყვარულისა მათ შორის; თავდავიწყება მეგობრისათვის; ურყევი ერთგულობა აღთქმული სიტყვისა; გრძნობათა და მისწრაფებათა უმწიკველი სიდიადე — და ყოველი ესე უმადლეს იდეალამდე აღმადლებული — აი „ვეფხისტყაოსნის“ ქრისტიანულ-რისინდული მოტივები, წარმოუდგენელი აღმოსავლეთისათვის.

შოთას გმირნი, გამომხატველნი ადამიანის საზოგადო კაცური ბუნებისა, ქართველ-ქრისტიანულ სულის მატარებელნი არიან.

„ლევკი ლომისა სწორია — ძუ იყვეს თუნდა ხვადია“, ან და „ანთავისუფლე მონები...“ ისევე გაუგებარი იქნებოდა პლატონისათვის და არისტოტელისათვის, როგორც პომეროსისათვის და თუნდაც შემდეგში, ციცირონისათვის.

თამარის საქართველო ჩვენი ერის ნამდვილი, უცხოელთა ჟანგითგან განწმენდილი, სახეა.

ამიტომ არის, რომ ქართველი ესეთი დიდის კულტით იტრფის თამარის სახელსა.

„არასოდესო, ამბობს ტამარატი, არც ერის ერს ისეთი ფანტიკოსობით არა ჰყვარებია დედოფალი, როგორითაც ქართველ ერს თამარი უყვარსო“.

მეტე უნდა ითქვას: არა მარტო დედოფალს, არამედ არც ერის სხვა მეფეს, არც ერის სხვა გმირს არ დაუტოვებია ისეთი უნაკლო სახე, როგორიც თამარმა ქართველთა გრძნობებს ჩააქსოვა.

განსაცდელისა და უბედობისა დროს, ერი თამარს ეგედრება: „აღსდექ, თამარ-დედოფალო, სტირის შენთვის საქართველო!“

ხალხის ლეგენდამ თამარს, „ბაზალეთის ტბის ძირას“ ოქროს აკვანი ჩაასვენებინა, სადაც განისვენებს მემკვიდრე ბაგრატიონთა. მოვა დრო, გამოჩნდება გმირი, ჩასწვდება ტბისა ძირს, ამოიტაცებს ოქროს აკვანსა და გვირგვინოსანი ძე თამარისა წარუძღვება ქრისტესათვის წამებულ ერს, შემუსრავს მტერსა და გაანთავისუფლებს ღვთის-მშობლის ხედვრს ქვეყანას.

ნაზი ასული ნინო ქართველთა გაქრისტიანებას დაავიწროვინებს; ბრწყინვალე თამარი ქართველ ერს უკვდავების სულს ჩაჰბერავს; წამებულითა შორის, ქეთევან დედოფლის სახელი ქართველთა გულს — ყველაზე სატყაჯ სხივად ჩაესახება. აი ფილოსოფია ქართველთა ისტორიისა.

იქნება განგების საიდუმლოება!.. ხოლო მსგავსება დიდია იესოს ბედთან. — ამ ქვეყნად, მაცხოვარს სამი მანდილოსანი უნებლებდნენ ტანჯვით აღსავსე გულსა: ღვთის-მშობელი მარიამი, მარიამ მადალეელი და მარიამი, და მლაზარესი და მართასი \*).

როდესაც მძიმე ჯვრით დატვირთული იესო მათარხის ცემით გოლგოთისაკენ მიყავდათ, ყველამ უღალატა მას, ყველა გაექცა. ხოლო სამი მანდილოსანი, სამი მარიამი მის გვერდით იყვნენ წამების აღსრულებამდე. და პირველად მათ იხილეს მკვლრეთით აღმდგარი ღმერთის სახე.

ჩვენი ერიც, არა ერთხელ აუთრევეთათ გოლგოთაზედ და ჯვართუცვიათ. და ყოველთვის, ჯერ სახე ნინოსი, შემდეგ სახე ნინოსი და თამარისა და ბოლოს ნინოსი, თამარისა და ქეთევანის — მის სულს აფოლადებდნენ და მკვლრეთით აღდგომის რწმენას ურყევე უყოფდნენ.

„ოქროს ხანა“ თამარისა, მისი გარდაცვალების შემდეგ, მალე შეირყა. შეიწყა საფუძვლიანად. ქვეყნის საუბედუროთ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 51 თუ 52 წლის მეფე-თამარს ამ წუთის სოფელს გამოეთხოვა.

თამარის მემკვიდრეებს, გიორგი ლაშასა და რუსუდანს, განგებამ არ უბოძა ზე-კაცური ნიჭი და გონი დედისა. თამარის იმპერიას ვერ მოუარეს.

ცხოვრება ლალი და უხრუნველი ზნეობრი-

\*) ზოგიერთ ეგზეგეტის მიხედვით, მადალეელი მარიამი და მარიამი, მლაზარესი და მართასი — ერთი და იგივე მარიამია. არავითარი საბუთი არ გვაძლევს ეს დებულება მივიღოთ.



გომბას განსაცდელს უმზადებდა, ნების - ყოფას აღუნებდა.

თუ თამარი დაუღალავი ღვაწლითა და გამსჯელობით ერს უტეხი ნებისყოფის მაგალითს აძლევდა, ლაშა თვით მიეცა უხრუნველს ყოფას და დროს ზეიმსა და ნადირობაში ატარებდა. საჩუქრუნობა და ზნეობრივობა დასუსტდნენ, სახელმწიფოს შინაგანი სტრუქტურა შეიძრა.

საბედნიეროდ, იესოს რჯულისათვის ბრძოლა და მისთვის თავგანწირვა უკვე ქართველთა ბუნებად იყო ქცეული. გიორგიც, რუსუდანიც და მათთან ერთად, მთელი ქართველი ერი, მზად იყვნენ ეროვნული რჯულისათვის თავდადებით ბრძოლათ.

აქ მოვიყვან რამოდენიმე ადგილს იმ მიმართებითგან, რომლითაც რუსუდანმა პაპს, ჰონორიუსს (1216 - 1227) უპასუხა.

„თანხმად თქვენი სურვილისა... ჩემი ძმა, ქრისტიანეთა დასახმარებლად, ჯარს ამზადებდა. მაგრამ, თათრები, ეს წყევული ხალხი, ჩვენს ქვეყანას მოტყუებით შემოესივნენ, მოგვაჩვენეს რა თავი ქრისტიანებად, და დიდი ენება მოგვაყენეს. ჩვენ სწრაფი შეტევით ვუპასუხეთ, 25.000 მებრძოლი მოგუკალით, დიდი რიცხვი ტყვედ წაშოვიყვანეთ და დანარჩენნი ჩვენი სამეფოს სამზღვრებიდგან განვდეინეთ. თქვენი სურვილი, ამისა გამო, ვერ შევასრულეთ. ხოლო, გავიგეთ რა, რომ იმპერატორი, თქვენის რჩევით, მზად არის წმინდა ადგილების განსათავისუფლებლად სირიაზე გაილაშქროს, დიდად ბედნიერი ვართ და გთხოვთ გვაცნობოთ, ომი როდის დაიწყება. ჩვენ, მთელს ჩვენს პაპს, ივანე მხარგრძელის მეთაურობით, ქრისტიანეთა დასახმარებლად გავმოგვზავით. უწყიდეთ: ივანემ და ჩვენ თავადთა დიდმა რიცხვმა ჯვარი აიღეს (სიმბოლო ჯვაროსნობისა. გ. კ.) და ბრძოლის დასაწყისს ელოდებიან.\*)

რუსუდან - დედოფლის ამ წერილს სპასალარის, ივანე მხარგრძელის, დაახლოვებით იგივე შინაარსის, ბარათი თან ახლდა.

პაპი ჰონორიუს მესამე, პასუხად, რუსუდანს შემდეგსა სწერს: „... და ჩვენ ბედნიერი ვართ თქვენი მტკიცე რწმენით უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესი, რომელსაც თქვენი ერთგულობა მით

უფრო ესიამოვნება, რომ თქვენ, მომწყვდეულნი ურჯულოთა შუა, მას (ქრისტეს) იცავთ და ბრწყინვალეობთ ვითარცა სინათლე წყვიდასა შინა...!

ქართველებს ეგონათ — მტერი ისე სასტიკად დაეპარცხეთ, რომ დიდხანს ველარას გაგვიბედავსო. მოსტყუდნენ. 1226 წლიდგან 1230 წლამდე, რუსუდანის მეფობისას (1223 - 1247), ხორასანის სულთანი, მთარვალოთა შორის უმტარვალესი ჯვალა - ედ = დინი, საქართველოს მრავალჯერ ააწიოკებს და, რათგან მისი უმთავრესი მიზანი ქრისტიანობის სრული მოსაპობა იყო, ნაცრათა და მტვრათ აქცია, რასაც კი ქრისტიანული სახე ჰქონდა. დღესაც კი, უკანასკნელი ომის საშინლებათა მომსწრეთათვის, ძნელად წარმოსადგენია ის, რაც იმ დროს ქართველმა ერმა გადაიტანა.

აღ. სუმბათაშვილი ამბობს: „... ჯელად - ედ - დინმა, მარტო 1226 წელს, რჯულის ერთგულობისათვის, 50.000-ზე მეტი ქართველი ქალი აწამა და მოჰკლა“.

ქრისტიან ქართველთა ელიტამ უმადალითო ხასიათი მიიღო: დედას ბავშვს ძუძუიდან ააგლეჯდნენ, მას მის თვალწინ გასრესავდნენ, ან თვალებს ამოსთხრიდნენ, გულს მკერდიდგან აპგლეჯდნენ, ტვისს მიწაზედ დაუნთხევდნენ, — შემდეგ, თვითონ დედას აწამებდნენ და მოჰკლავდნენ.

Brosset: ამბობს: „... მღვდელმთავარი, დიაკვანი, მონაზონი, — გასრესილნი და გაჟლეტილნი ეკლესიათა წიაღში... ევოც ერის ძველ წიგნში ვერ ამოიკითხავთ იმის მსგავს კატასტროფასა, როგორც, იმ დროს, ქართველ ხალხს თავს დააწყდა... ჯელა - ედ - დინმა, სიონის ტაძრიდგან იესო - ქრისტესი და ღვთისმშობლის ხატები მოატანინა... ერთ ხიდზედ დაჰყარა და ყველა ტყვეებს, ქალსა და ვაჟს, უბრძანა ეს ხატები ფეხით გაეტელათ და რჯული უარეყოთ. იმას, ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებდა, თავს წაჰკვეთდნენ. რიცხვი იმათი, რომლებმაც რჯულის ღალატს წამებულთა გვირგვინი ამჯობინეს, ისოდენ დიდია, რომ იმის აღწერა შეუძლებელი იყო... მე პირადად ვფიქრობო, განაგრძობს Brosset, რომ წამებულთა რიცხვი ათს მიერთად აღემატებოდა“. ესე იგი, ასი ათასს, რათგან ერთი მირიადი ათი ათასს უდრის.

1236 წელს, მტერმა საქართველო დაიმონავა.

\*) ეს წერილი 1223 ან 1224 წ. უნდა იყოს დაწერილი, რათგან ამ წერილში, რუსუდანი პაპს თავის გამეფებას (1223) აცნობებს და პაპის პასუხი დათარიღებულია 1224 წლის 4 მაისით.

რუსულდანის მემკვიდრე, დიმიტრი თავდადენ = ბული, ქვეყნის განთავისუფლებისათვის ზრუნავდა. განრიხსდა არღუნ-ყენი და მეფეს ურდოს მისვლა უბრძანა. დიმიტრიმ გადასწყვიტა ერისა და რჯულის გადასაჩენად თავი გაეწირა. მიიწვიო დიდებულთა კრებულთა და მიჰმართა:

„მისმინეთ, კათალიკოსო, იეპისკოპოსო და ჩემის სამეფოს დიდებულნო! როდესაც მამა ჩემმა, დავითმა, თვალნი თვისნი დახუჭა, მე, თათართა პირის-პირ, სრულად ობოლი დავიჩი. ყოვლისა შემძლემ ღმერთმა, უფალმან ჩვენმა იესო - ქრისტემ, — ყოვლად წმინდანმა ღვთისმშობელმან, რომლისა ხედრი ჩვენა ვართ და ყოვლად წმინდანმა ჯვარმა... მიფარველეს და დავაყუაცაბის ასაკამდე მომიყვანეს... მათი წყალობით, მე ვინილე ჩემი მეფობის გაძლიერება და მშვიდობიანობა ჩვენს ქვეყანაში. და დღეს, განრიხსებული ყენი... ბოროტის განზრახვით, მთვლის შისა წინაშე წარვდგე... თუ მთიულეთის სიმაგრეებს შეეფარვი, სიციოცხლესა ჩემსა ვიხსნი, ხოლო მთელს სამეფოს ჩემსა დაარბევნ. იფიქრეთ: რამდენი ქრისტიანი წამებულ და მონად წაყვანილ იქნება; რამდენი ეკლესია შერყენილი; რამდენი ჯვარი და ხატი დამსხვრეული. თუ ვეახელი, დარწმუნებული ვარ — მომკლავს. ჩემი რწმენა კი შემდეგია: ეს წუთის სოფელი აღელვებული და დაუფრდომელი ზღვაა. განჰქრება ჩენი ცხოვრება ამა ქვეყნად ვითარცა სიწმარი, ვითარცა ლანდი და იგუსურს თუ არა იგუსურს, განვალთ ამა სოფლითგან. რადა ღირს სიციოცხლე ჩემი თუ, ჩემთვის მრავალნი განიწირებიან და თუ მე, ერის დღეს, ამა სიციოცხლეს შინც უნდა განვმოჩაყე, დატვითული ჩემ მიერ ქმნილ უსამართლობითა! მე მსურს ყენს წარვუბრდე, რათა აღსრულდეს ნება ღვთისა. თუ მომკლეს, ჩვენს ქვეყანას წამებას ავაშორებ“.

(ბროსსე).  
დიდებულნი მეფეს ევედრებოდნენ, ბრძოლით გადაეწყვიტა ერისა და სამეფოს ბედი. დიმიტრიმ მათი სურვილი არ შეიწყნარა და ყენს ეახლა.

1299 წელს, არღუნ = ყენმა თავდადებული მეფე ხანგრძლივი წამების შემდეგ მოაკვლევინა.

ისტორიკოსი ჰეიტონი ამბობს: „1284 წელს, ტანგოლოჩისა (მუჰამედი), თათრების ხანმა, ბრძანა: ყველა ეკლესიები დაენგრიათ და ქრისტიანნი, რომელნიც მამადის რჯულს არ მიღებდნენ, გაეყლიტათ. ქართველებმა სიკვდილი ირ =

ჩიეს და რჯულს არ უღალატეს“-ო. (ტამარატი).  
მონღოლთა ბატონობა თავდადებულის მემკვიდრის, დავითის დროსაც (1292-1310) გრძელდება.

იმევე დროს, თურქები საქართველოს ერთ ნაწილს ააწიოკებენ: „1301 წ., თურქები სამცხეს, უეცრივ, შეიჭრნენ და მცხოვრებთა დიდი რიცხვი ამოხოცეს“ (ბროსსე).

ვახტანგ მესამეს მეფობისას, მონღოლთა მბრძანებელმა საქართველოში ახალი ჯარი გაგზავნა და უბრძანა ყველა ეკლესიები შემუსრონ და მეფე და ერი აიძულონ, ქრისტეს რჯული უარჰყონ. ვახტანგმა, გასამხნეებლად, თავის სპას შემდეგი სიტყვებით მიჰმართა: „... თქვენ უწყით: — იესომ ბრძანა: „ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე; მამისა ჩემისა ზეცათასა“ — და კიდევ: „მოვედით ჩემდა ყოველნი მამულნი და ტვირთ-მძიმენი, და მე განვიტნო თქტნ“. წარუდგეთ უშიშრად ყენსა და განვიწინოთ მისთვის, ვინც სიციოცხლე თვისი ჩვენთვის განსწირა. მივეცეთ სიკვდილსა, რათა ნება ღვთისა აღსრულდეს“. ამ სიტყვებით აღრფთოვანებული ჯარი თავის მეფეს გაჰყუა და ვახტანგმა ყენს უთხრა: „აჰა, ჩენი რჯულისათვის მზადა ვართ სიკვდილი შვილოთ“. განცვიფრებულმა ყენმა მეფე დიდის პატივისცემით მიიღო“. (Brosset).

1317 წელს, არაბ-ხანი შეესია საქართველოს. ვახტანგ მეფემ რჯულს არ უღალატა და მოკლულ იქმნა.

გიორგი მეხუთემ (1318 - 1346), მტერი თავისი სამეფოდან განდევნა და საქართველო გააერთა.

ხოლო მალე, ბაგრატ მეხუთეს დროს (1360 - 1395), ჩვენს სამშობლოს ჯელაღზე არა ნაკლებ დაუნდობელი მტერი მიევილინა, თემურ-ლენგი (1336 - 1405). ექვსჯერ დაარბია საქართველო, ქვა-ქვაზედ არ დასტოვა.

თემურის მამობრავებელი იდეა, შერიფ-ედინის და სხვა მწერალთა მოწმობით, ისლამის ძალით გავრცელება იყო.

„თემურ-ლენგის მსგავსი ერთა — დამპყრობი და მჩაგვრელი, ისტორიას სხვა არ ანსოვს“-ო, ამბობს ტამარატი;

თემურმა საქართველოს თვით საძირკველი შეუნგრია. მისი სხელი დააკუმწაწა.

ისოდენ ტენჯულმა ერმა, ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებაში იხოდენი ძალია ჰპოვა, რომ

„ისტორიანი და აზვანი შარავანდეღთანი“ \*

III

ახლა შევადაროთ ზოგი ადგილები ამ თხზუ-  
ლებათა და ვნახოთ, ერთსა და იმავე კალამს უნ-  
და დაეწერა იგი თუ არა:

1. ი. და ა.: „ვითარ ვიმცდომო და ვსცე სო-  
ლომონისა სახედ აწ საყვირსა ქებისა-  
ქებათასა“.

3. ტ.: „მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქ-  
მესა ამას მცდარი“ (მიძღვნა: 2, 1).<sup>1)</sup>  
„ჩემსა ხელ-მქმნელსა შევძართო ლალსა მას  
ლამაზმანები?“ (მიძღვნა: 3, 4).

2. ი. და ა.: „მზე მნათობთა შორის“ (გიორგი  
მეფე). „წესატყვისი ქმრისა პირ- მზისა  
[და] ტანად ლომისა, თვით მზე - მზეთა  
შვენებითა და მომფენობითაცა ვითარისა  
წყალობისა ცოდვილთა და მართალთა ზე-  
და!“ (ბურღუხან დედოფალი).

3. ტ.: „ჰგვანდა ოდეს ლომსა შეგდეს მზე,  
მნათობთა ჟნათლესი“ (ნესტან დარეჯან-  
ნი) (VII: 111, 3).

„იზრდვის ლომი და პირად - მზე იგი ალვი-  
საც ხენია“ (ფრიდონი) (VII: 267, 4).

„ვარდთა და ნებთა ვინათვან მზე სწო-  
რად მოეფინების, დიდთა და წვრილთა  
წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების“ (თინა-  
თინს) (I: 17, 1).

„მე ლომი ლომთა დაგისვა გვერცა შენ  
მზესა მზეთასა“ (VIII: 176, 4).

\* ) იხ. დასაწყისი „ბედი ქართ.“, № 6 - 7.

1) აღნიშნვა ჩემ მიერ აღდგენილი „3.  
ტ“-ის ტექსტის კართა და სტროფთა მიხედვით.

ყოველს ვაუძლო, წარმოუდგენელი ნგრევა და  
ჟღერა გადაიტანა და, მკვდრეთით, კიდევ აღ-  
სდგა.

როდესაც ალექსანდრე პირველი გამეფდა  
(1413 - 1442), საქართველოს ნიადაგზედ თითქ-  
მის, აღარც ერთი ეკლესია, მონასტერი და საეა-  
ნე და არც სხვა შენობა, აღარ არსებობდა.  
მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ან დაზოცილი იყ-  
ვნენ, ან მონად წაყვანილნი. მეფემ მიზნად ქვე-  
ყნის აღდგენა და ერის განთავისუფლება დაისა-  
ხა. ამ მიზნის მისახწევად არა ერთი ომი აწარ-  
მოვა. ალექსანდრემ „ბევრი ომების შემდეგ,  
მტერი საქართველოდგან განდევნა“. (ბროსე).

გ. კერესელიძე

„თინათინსცა თავყანის-სცა ლომთა-ლომ-  
მან მზეთა - მზესა“ (შემავსებელისაგან ჩა-  
მატებული „3. ტ“-ში, ჩანართი 79, 1).

3. ი. და ა.: (გიორგი მეფე) „არცა ვანკრთე-  
ბოდა მტერთა მახვილთა ელვასა!“.

3. ტ. „მათი მესმა, დავინახე, ზახილი და  
ხრმალთა ელვა“ (ამბობს ფრიდონი) (III:  
258,1).

4. ი. და ა.: ანისის აღებაზედ (1162 წ.) მო-  
თხრობილია შემდეგი:

„ხოლო მეფემან, მტკიცედ აღზენებულმან  
ჰუნესა ზედა ტანითა მით ხოსროვანითა,  
მანცა აღაღო პირი განსწავლად გულისა  
მხეცებრ-მხეცთასა, ვითარმედ: „კაცხო,  
ძმანო ერთსულნო და ერთ - სჯულნო,  
[უწყით] თუ რაზომ დიდ კეთილ არს სა-  
ღმრთოთა სჯულთა და ქრისტეს სახარე-  
ბისათვის სიკვდილი, რომელსა სამარადი-  
მილთა და მომკვდართა მისთვის, თვით ზუ-  
ნებით მკვდართა სხეულთა, გაჩნა ზედვი-  
დეთცა, თუ რაოდენ უფროს სახელოვან  
სოდ ენატრით ქრისტეს კვალთა შედგო-  
არს მხნებრივ სიკვდილი, ვიდრელა სენთა-  
გან დნობითა განლუღლებასა შინა. რამე-  
თუ სახე და სახელი კეთილისა საუკუნოდ  
გზად გვყვების, რამეთუ გვამიეს ძველ-  
თა მომთხრობელთაგან, თუ რაოდენი  
კვეთებანი თავს იხნა საღმრთოთა სჯუ-  
ლთათვის ტომმან ებრაელთამან, და ელ-  
ლონთა, ოდეს იგი იძღვანებოდეს თემის-  
ტოკლეოს<sup>2)</sup> მიერ უცთომელისა სპასპეტი-  
საგან, სოფლისა მქონებელისა მძღესა არ-  
ტაქსერქსის-ზე, რომელმან ზღვაცა მტკი-  
ცე ჰყო უომრად სპათათვის, ხოლო რო-  
მელი ათინელთა, ერთისა ოდენ ქალაქი-  
საგან უკუ - რღვეულ იქმნა, აწ ფართოვან-  
ნო ლომნო ჩემნო, ჩვენთვის განლაზერუ-  
ლისათვის აღვიხენეთ ლახვარნი და ორო-  
ლნი და ვუგმირნეთ ურწმუნოთა ღვთაე-  
რისა მისისათა!“ ესრეთ სახეობით მქადე-  
ბელმან განვლნა რაზმნი და მსაარაზნო-  
ბელმან განაწონა კელონი... მქონესა  
წყობათა მამტკიცებელისასა. და ვითარ

2) ავტორი აქ თვით ბერძნულ ნათესაობით=  
საც კი ხმარობს!

იხილეს დროშა დაცემული და მკლავითა აქილევანითა ქცევა სიმკვეთრითა მკვეთელად, იხმეის სივლტოლა ძალისაებრ ჰუნე=თასა, რომელსა შინა აღესრულეობდა სიტყუა: წარიქცეოდა ერთისაგან ასი და ასისა მიერ ზეგრეული. სპასალართა, დიდებულთა და ლაშქართა—ამათი აქათ და მათ მუნით—ადინეს ღვარი სისხლისა, და თვით მეფე აღუქსანდრეს სვითა და სიაოშისა მოყმობითა სდევდა, მრავალ-გზის გამომცვლოელი (არმათა<sup>3)</sup>), სცემდა და იცემებოდა, სრვიდა და ისროლებოდა, და ბუმბერაზნი მისნი თანა-შემწეობდეს, მხედველნი მტერთა მსრველისანი“, და სხვ.

**3. ტ.:** „მხეცი“ „ვ. ტ.“—შინა ცუდ ეწოდება ბრძოლის ჟინით ან სიყვარულის ვნებით შეპყრობილ კაცს, ერთობ კი, შესადარებლად ზემოდ მოყვანილ სიტყვებთან გიორგი მეფისა, აი რას ამბობს ტარიელი მის ბრძოლაზედ ხატაელთა წინააღმდეგ.

„ქედსა რასმე ფარდავადეგ, მინდორს მტვერი დავინახე.  
 ვთქვი თუ—მოგა რამაზ მეფე; ჩემთვის უდგამს თუცა მახე,  
 ჩემი ვაჰკვეთს ხორცთა მათთა ხრმალი ბასრი,  
 შუბი მახე! 4)  
 მაშინ ვუთხარ სპათა ჩემთა, სახე დიდი დაფუსახე.

ვთქვი თუ: „ძმანო, იგო კაცი ჩვენ ღალატსა დვიდგებიან,  
 მკლავთა თქვენთა სიმავრენი ამისთვისმკა რად დალობან!  
 ვინცა მოკვდენ ანუფეთათვის, სულნი მათნი ზეცას ჰრბიან.  
 აწ შევებნეთ ხატაელთა, ხრმალი ცუდად რად გვაბიან!“

ფუბრძანე ჩაცმა აზვრისა ლაღმან სიტყვითა ხაფითა.  
 დავცაზმენით საომრად ჯაჰვ - ჯავშანითა, ჰაფითა.

<sup>3)</sup> ტექსტში სწერია: „არამთა“, რაცა სრული უაზრობაა. არმა (ჰარმა) ბერძნული სიტყვაა, ის ნიშნავს საომარ ეტლს.

<sup>4)</sup> მჭრელი, მახელი.

რაზმი დავაწყევ, ძივმართე, წაველ დიდითა სწრაფითა.  
 მას დღესა ჩემი მებრძოლი ჩემმანვე ხრმალმან დაფითა (III: 111-113).

შუბი ვთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად.  
 საომრად ატენილი ვიყავ მათად გამტეხელად.  
 ერთსა წავსწვდი უტევანსა, წავგრძელი და წავე გრძელიად.  
 მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყარად დგეს და აუშლელიად.

ახლოს მიველ, შემომხედეს, შმაგიაო, ესე სთქვესა.  
 მუნ მივმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა.  
 კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მიხესა.  
 შუბი ვატყდა, ხელი ჩავყავ, — ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლეხა!

შოგან ასრე ვავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,  
 კაცი კაცსა შემოვსტყორცი, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;  
 კაცი ჩემგან განატყორცი ბრუნავს ვითა ტანაჯორი.  
 ერთობ სრულად ამოვსწყვიდე წინა - კერძო რაზმი ორი.

ერთობილნი მომეხვიენეს, მრგვლივ შეიქმნა ომი დიდი;  
 ვჰყრი რასაცა, ვერ დამიდგის, სისხლსა მჭეფრსა აღმოვღვრიდი;  
 ცხენსა კაცი ვაჰკეთილი მანდიკურად გარდავჰკიდი;  
 სითცა ვიყვი, გამექციან, მათ შეჰქმნიან ჩემი ორიდი“ (III: 117 - 120).

ჩვენ აქა ვხედავთ აღწერას ორი ომისა, ერთისა, რომელიც ისტორიული ფაქტი იყო, მეორისა, რომელიც მოგონილი ამბავია, ხელოვნებით ნაწარმოებში მოთხრობილი. ამიტომ დიდი განსხვავებაა მათ შორის. მაგრამ ყურადღებას იმსახურებს ის არა ის, რომ გიორგი მეფესავით ტარიელი თავის მეომრებს „დიდ სახეს უსახავს“. ეს ადგილი „ვ. ტ.“-ში: „სახე დიდი დავუსახე“ ყოველთვის ძნელი გასაგები იყო. „სახე“—ს ძველ ქართულში

გარდა ჩვეულებრივი მნიშვნელობისა აქვს აგრეთვე მნიშვნელობა: „ვითარება“, „გეგმა“, „მაგალითი“ და სხვა, და ძნელი იყო გადაწყვეტა, რომელი მნიშვნელობა უნდა მიგვეცა „ვ. ტ.“-ის შემოსხენებულ ტაეპში „სახისათვის“. ზოგი „პლანის“, „გეგმის“ მნიშვნელობას აძლევდა მას, ზოგი კიდე სხვას, მაგრამ ახლა კი ცხადია, შევადარებთ რა ამ ადგილს გიორგი მეფის სიტყვას, რომ ტარიელსაც „მაგალითებით“, „ისტორიული მაგალითებით“ აღუფრთხვანებია ჯარი. თვით ამ მაგალითთა აღნიშვნა „ვ. ტ.“-ში კი საჭირო არ იყო. „სახე დიდი დავუსახე“ ნიშნავს მამასადამე: „დიდი მაგალითი [წარსულსაქმეთა] დავუსახეო“, როგორც გიორგი მეფემ ბევრი ასეთი მაგალითი სახელებით აღნიშნა. ამით აქ განსაკუთრებული აზრიცა და მნიშვნელობაც იძლევა აგრეთვე ტაეპს: „ვინცა მოკვდენ შეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიანო“. — აღსანიშნავია მერმე შემდეგი: ტარიელიც მსგავსად გიორგი მეფისა მიმართავს ჯარს: „მმანო“. — ტარიელიც ომის დაწყებისას შუბით განგმირავს ცხენსა და კაცს, მაშინ როდესაც გიორგი მეფე ტარიელსავით „მსპარაზნობელი“ (ტარიელი ერთსა წასწვდა უტყევანსა, წარგძელდა და წავიდა გრძელად) მტრის დროშის მზიდველს განგმირავს კელონით<sup>5</sup>). შემდეგ ორივე მოთხრობაში აღწერილია ორივე გმირის გამარჯვება გამოუთქმელი ვაჟკაცობით.

**5. ი. და ა.:** ომის გათავების შემდეგ „იხილნა მეფემან, მეორემან კონსტანტინე, საყვარელი და საკუთარნი, ვაზირნი, სპასალარნი, ხელის - უფალნი და თავადნი, დიდებულნი და აზნაურნი, მოყმენი და მონანი, და შეხედნეს მას ყოველმან ერმან და ერთგან ჰრქვეს ძლიერა - მოსილსა ხელმწიფესა დაკოდილთა და ნაცემთაგანთაცა: „შვიდობა არსა?“ და სხვ.

**ვ. ტ.:** ტარიელი ამბობს ხატელებთან ბრძოლის შემდეგ:

„მას ადგილსა ნაომარსა გარდაეხედით მოსვენებად. ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მაჩნდა არ ნაღებად. ჩემნი სპანი მოვიდიან საჭერეტლად და ჩემად ქებად.

<sup>5</sup>) ბერძნ. „კელონ“ ისარი, სასროლი, განსაგმირავი საჭურველი.

ვერ იტყვიან, ვერ მიმხვდარან ქებასაცა მოხსენებად.

ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდეს; ზოგთა მორით დამლოციან, ზოგნი კოცნად გამიბიოდეს; რომელთაცა გაცეზარდე, დიდებულნი ამიტირდეს. ჩემგან ხრმლითა განაკვეთი ჰნახეს, მეტად გაუკვირდეს“ (III: 125=126).—

აქაც ერთი და იგივე მოთხრობაა სხვა და სხვა ფორმით, თანახმად ამბისა და თხზულებათა თვისებისა.

**6. ი. და ა.:** გიორგი მეფე იშვებდა ვანცხრობით 1167 წელს შემდგომად შარვანშას საშველად ხაზართა წინააღმდეგ ლაშქრობისა: „იშვებდა და იმოთხვიდა საყოფელთა მისთა“... „სანადიროთა ქორთა და ძაღლთა სიმრავლე, და სიტურფე და მოკაზმულობა [მსგავსი] აროდეს ვისგან ქმნილსა, არცა წიად = მომართ ყოფად არსო“, ამბობს ისტორიის ავტორი.

**ვ. ტ.:** როსტევანის ნადირობისას: „მეფე შეჯდა, მამინდელი ზარი აწმცა ვით ითქმოდა. ქოს - დაბდაბთა ცემისაგან ყურთა სიტყვა არ ისმოდა. მხესა ქორნი აბნელებდეს, ძაღლთა რბოლა მი-და-მოლ-ა“ და სხვა (ჩანართი: 87, 3).

ხოლო ფარსადანის ნადირობაზედ ტარიელი ამბობს:

„მოვინადირეთ მინდორი, ძირი მთისა და გორისა, იყო სიმრავლე ძაღლისა, შავარდნისა და ქორისა“ და სხვა (III: 149, 1 = 2).

აქაც იგივე გამოთქმანი: ძაღლისა და ქორის სიმრავლე, შეუღარებელი ზარი და ზეიმი და სხვა.

**7. ი. და ა.:** თამარის მეფედ დასმა მამისაგან შემდეგნაირად არის აღწერილი ისტორიკოსისაგან: „შემყრელმან შეიღთავე სამეფოთა მისთამან... მოიყვანა დედოფალთა დედოფალი, ბედნიერი და სვიანი ცოლი

მისი ბერდუხან, და შვილი მათი თამარ, ნათელი და ბრწყინვალეა თვალთა მათთა, და მანიაკი ყოველთა მეფეთა, და გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა. განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხვედრისა შარავანდედთათვის მნებობითა მეფე ჰყო იგი თანადგომითა ყოველთა: პატრიარქისა და ეპისკოპოსთა, დიდებულთა იმერთა და ამერთა, ვაზირთა და საპასალართა და საპასეტთა, და დაისვა მარჯვენით მისსა მეფე და დედოფალი შემკული და შემოსილი პორფირითა, ფესვედითა ფერადითა ოქროანითა, ბისონითა და ზეზითა... და დაადგა გვირგვინი თავსა მისსა ოქროსა ოფაზისა, აღმკული იაკინთთა, ზმერთა და სმარავთა მიერ. და დიდებულნი ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირსა მისსა. და თვით მეფე მაფიცებელი ქრთვულობისა და ერთსულობისა მისისათვის და ცრემლითა ლტობილი და შემეფდრებელი ღმრთისა მკურთხებელ ექმნა, ... რომელი ჩანს ვითარ მხე უღრუბლო ჰაერსა მოღლიენდელად დღემდე“ დასხვა.

**3. ტ.** როსტევიანმაც თვისი ასული თინათინი ვაზირთა გამორჩევით აიყვანა ტახტზედ. „ამისად ქმნამდის“ მას ცრემლი არ დაეცვებოდა“. და თვით ტახტზედ აყვანაც თინათინისა ასეა აღწერილი „ვ. ტ.“-ში:

„თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა, დასვა და თავსა გვირგვინი დაადგა თავის ხელითა, მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა. — ქალი მზებრ უჭვრეტს ყოველთა ცნობითა ზე = მხედველითა.

უკუ - დგეს და თავიანის - სცეს მეფემან და მათთა სპათა. დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგანით სხვათა“ და სხვა (I: 13-14, 1-2).

ბოლოს როსტევიანი მტირალ თინათინს ეუბნება: „დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩემგან ხელმწიფედ ხმობილი, აქათვან ესე სამეფო მართ შენია მონღოზილი. ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი“-ო და სხვა (I: 16, 2-4).

აი ამ ადგილს ეხება ჩვენი აზრით რუსთველის სიტყვა მიძღვნაში: „ვისი სახელი (ე. ი. თამარის) შეფარვით ქვემოქვე მითქვამს, იქიაო“, და სხვა (5, 4). აქ არის აღწერილი თამარის ტახტზედ აყვანა მამის მიერ, მოთხოვნილი „ვ. ტ.“-ის ამბად, ხოლო იგივე ისტორიული ამბავი, რომელიც აღწერილია „ისტ. და აზმანა“ შინა.

**3. ი. და ა.:** ტირილს „ისტორიანი და აზმანი“ შემდეგნაირად აგვიწერენ: გიორგი მეფემ რომ გეგუთს გაიგო ცოლის, ბურდუხან — დედოფლისა სიკვდილი, „თმათა და წვერთა მფხვრელი იქმნა... და ცრემლითა ნაკადთა დენითა, ათასეულთა და ბევრეულთა, მცემელმან მკერდსა, გულმთკულუმან და უღონო-ქმნილმან აღიკვეცნა თმანიცა თავისა მისისანი და შეიმოსნა ფლასნი, და ესე = ვითარითა შემუსვრილითა ცულობითა შეეყარა საყვარელსა და ტკბილსა შვილსა თავისსა, დედისაგან უსამზობლო ქმნილსა, რომელსა ნათელი და ცისკროვნება ჰაერისა მისისა სიჭრუმედ გარდაქცეოდა. და ნაკადნი ცრემლითანი ოთხთავე თვალთაგან მოხვედასა შინა ურთი = ერთას მსგავსად სამოთხისა მდინარისა მომცენარეობდეს, — სახედ გეონისა“. — გიორგი მეფე როდესაც მიიცვალა, „თამარისა პირი იგი ეთეროვანი და უწვიმარო ჰაერი, უმრუმეო ნათელი შეიხლუდა ბნელითა, და აღმფხვრელსა თმათასა უსწრობდა წყარო სისხლისა წყაროსა ცრემლთასა“. — საზოგადოდ გიორგი მეფის დატვირების დროს იყვნენ: „რანი გლოვანი და რანი ტყებანი, რანი ვაებანი, რანი სისხლ = რეულთა ცრემლთა ნაკადნი ას - ნაკეცნი, რანი მოთქმანი“, და სხვ. — გამიჯნურებულმა მუტაფრადინმა „აჩვენა (თამარს) ცრემლთა ნაკადთა მრავლობა“. — ლომმაც, რომელსაც თამარი უყვარდა, მოაშორებდენ თუ არა მას თამარს, „წყაროს მსგავნი ცრემლნი გარდმოსთხივნის თვალთაგან, რომელი დაალტობდეს მიწასა“, და სხვ. —

**3. ტ.:** მრავლის უმრავლესითა „ვ. ტ.“-ში მსგავსი გამოთქმა: ტარიელს „ცრემლისა სისხლი იერიოდა, გაადის ვითა ნაგუბარი“ (ჩანართი 14, 4).

„სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატეში“ (ტარიელისათვის) (II: 67, 4). „მას წყაროესებრ თვალთაგან ცრემლი



სადის გაფიცებულნი“ (ტარიელის) (V: 23, 3). „გაიყარნეს ტარილით და პირთა ხოკით, თმათა გლქვით“ (ტარიელი და ავთანდილი) (V: 81, 1).

„მოეხვივნეს ერთმანერთსა, გაამრავლნეს ცრემლთა ღვრანი“ (ავთანდილმა და ფრი-ლონმა) (VI: 54, 1).

„ცრემლთა მისთა მონაღვართა წყაროსებრ=ნი ისმნეს წყარნი“ (ფატმანისა) (VII: 19, 3).

„ას - ნაკეცი წყარო ვნახე ცრემლთა მისთა მონაწეთომთა“ (ნესტან - დარეჯანისაგან) (VII: 61, 3).

„ქალსა ცრემლნი გარდმოსცვიედეს ას=ნაკეცი, ბევირის ბევიჩად“ (ასმასის) (II: 70, 1).

„ვერ გარდვიხდი ცრემლთა მისთა, ჯეონიცა თვალთა მდინდეს“, — ეუბნება ავთანდილი ვაზირს (IV: 54, 3), და სხვა აუარებელი ადგილებში „ვ. ტ.“-ში, რომელიც შემოხსენებული ადგილებს გვაგონებს „ისტორიათა და აზმათა“.

9. უბედურების აღწერა:

**ი. და ა.:** მამის სიკვდილი გაიგო თამარმა: „ესე ვითარო საგოდებელი და მოსაწევარი მოსაწევართა,“<sup>6)</sup> განსახეთქელი კლდეთა და განსაპოხელი კართა - საბლისა და სა=შინელებთა შთამოსაცვივარი მნათობთა და ვარსკვლავითა“.

**ვ. ტ.:** თინათინი ეუბნება დაღრეჯილ მამას:

„თქვენნი იგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დაამხოხდეს!“ (I. 57, 3).

აქაც საშინელების სიძლიერე მნათობთა დამხოხობის, ძირს ჩამოცვივნის მსგავსად არის დასახული.

„ეს რა მესმა, დამტყდეს ცანი რისხვით, ეცა გორა გორთა“ (ამბოზს ფატმანი) (VII: 83, 4).

„მოიცვეს შინა ქალაქი, შეიქმნა მოსაწე-ვარი“ (ამბოზს ფატმანი) (VII: 111, 2).

„ხმა დამიყარდა, შეიქმნა ხახილი, მოსაწე-ვარი“ (ამბოზს ტარიელი) (III: 220, 1).

10. ი. და ა.: „ისტორიაში“ თამარს ეწოდება: „ეთერი ცეცხლისა და ქვეყანად ცეცხლ-თაგან მძლეველი ღრჩთა და ცეცხლებრ

ლონე და მომხმარებელი მეგობართა და მოყვარეთა“.

**ვ. ტ.:** „ვიჯო მზე ჰგავს, ვერ ეთერი“ (II: 85, 4) (თინათინს).

„ჩემად ჩნდა იგი სინათლე ეთერით მზედ ნაჩინისა“ (ამბოზს ტარიელი) (III: 91, 3).

—ტარიელის მისვლა ფრიდონისას გამარ-ჯვების შემდეგ ასეა დასახული მოციქუ-ლის პირით:

„მანდა მოვა, მოიმალლებს მზე მნათობთა მამაგრობლად, ჩვენ, დამზრალნი აქანამ-ლის, აწ ვიქმნებით დაუზრობლად“ (VIII: 100, 3-4).

რუსთველის წაბადვით დაწერილ „ვ. ტ.“-ის ეპილოგში კი თამარი არის ის „ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ხართა

მარებლად, ორგულთა მათთა დასმწველად, ერთგულთა დამამაგრებლად“ (ჩანართი: 194, 3-4).

11. ი. და ა.: თამარის სიტხვე: ისტორიკოსის სიტყვით: „ოდესმე რომელიმე აღებადვის ზენასა მნათობსა ქვენს მნათობი გინათუ შეგნებითა უცხოთა და უსახოთა, გინათუ სიბრძნისა მსყრობელობითა, გინათუ მზე-ებრ უხვებითა და სწორად მიმგნობითა მართალთა ზედსა და ცოდვილთა ზედს“, და სხვ. ასეთი იყო თამარი „და ხელ-ჰყო ქეი-ხოსროს მსგავსმან ხელმწიფემან წყალო-ბად და შეწყალებად,“<sup>7)</sup> განცემს და მინი-ჭებად. განხსნილთა ხელითა განხსნა სა-ჭურჭლენი, მონაგებნი პაპათა და მამათა მისთანი“. „იხსნა მოვალენი ვალთაგან და მიეცა ობოლთა ღონე და ქვრივთა ხელ-მწიფება განქორწინებად ობოლთა. და ღონიერ ჰყვნა გლახკნი და მდიდარ ღო-ნიერნი“ და სხვ.

<sup>6)</sup> მოსაწევარი, ე. ი. მოსავალი, უბედურება ბედისაგან მოვლენილი, უბედურების მოსვლის-თვის ხახილი, ი. აბულაძეს დევნისა და მიწევის ყაყინი ჰგონია: „დაიჭი, დაიჭი!“ ხოლო „ისტო-რიანი და აზმანი“ ნათლად გვიჩვენებენ, რომ ამ სიტყვას შემოხსენებული მნიშვნელობა აქვს.

<sup>7)</sup> „მეწყალება“, „მეწყნარება“ საზ. საუკ. ფეოდალიზმის ხანის ტერმინებია, ნიშნავს მინი-ჭებას მამულისა „საკარგმოდ“ და მიჩნებას სამ-სახურისა პატრონის წინაშე; გერ. **Belehung**, ფრანგ. **investiture**.

3. ტ.: თინათინს მამა ეუბნება: „ვარდთა და ნუხეთა ვინათვან მხე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოეფინების“. „უხვად ვასცემდი, — ზღვათაცა შესდის და გაცედინების“ (I: 17, 1-2, 4). და თინათინმა „მოიხმო მისი გამხრდელი, ერთგული, ნაერთგულევი, უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეტლელევი, მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი. — მოართვეს, ვასცა უზომო, უანგარიშო, ულევით“...

კვლა ბრძანა: —

„წადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია. ამილახორო, მოასხი ჩემსა, ჯარი და ცხენია.“  
მოიღეს, — ვასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია.  
ლარსა ხვეტდიან ლაშქარნი მართ ვითა მეგობრენია“

(I: 19 - 20). თამარსავეთ თინათინი მხესავით მოაფენს სიუხვის სხივებს დიდთა და წვრილთა, როგორც მამამ ასწავლა, და „არც ქალსა, არცა ყმას არ დაარჩენს ცალიერს“.

12. ი. და ა.: თამარის შევენება და მისთვის გამიჯნურება: ისტორიკოსი ამბობს: „კვალად დაჯდა (თამარი) ცხებული ღმრთისა საყდართა მათ ცამდე აღმართებულთა შევენებითა მით აფროდიტიანითა და სიუხვეითა მხეებრითა აპოლონიანითა, საჭურფო საჭურჭტი დაბნელადე და გაჭრამდე ყოველთა განმცდელ - მხედთა და შეპყრობილთა წყალ-ჯავართა მისითა და უმსგავსოთა სახითა მით ღმრთივ - ქმნულითა“. — თამარის ქმრის მოყვანისათვის „ხამდა თუცა ყოფილიყო ჟამი გმირთა და გოლიათთა ყოფისა... ანუ თუ ვაჭრანი მიჯნურთანი მხეც-ქმნილთანი“. უჩნდა სახამსოდ, თუცა გამოჩენილიყვნეს ვინმე, ანუ გმირნი სხვანი გმირთანი“ და სხვ., „სისხლდამთხვევლნი შეყვარებულთათვის, ანუ მიჯნურნი ლომნი და მუნენი, მხეცებრ გაჭრილნი ამის მხისა და უმეტეს მხისა“ და სხვ. „არავინ დაეხადა ღმერთსა სწორი ამისი და არცა დაბადებად არს“, და სხვ.—

მისთვის „ხელდებიან ყოველნი მსმენნი ესრეთ სახე - ბრწინევალებისა მისისანი“. მისთვის „ბერძენთა მეფისა მანოელისა შვილი უხუცესი იყო ვაჭრითა და ვახელებითა“. „სულტნისა ყიზილ - არსლანის შვილთავანი ერთი [მისისა] ამბვისა სმენითა ხელ = ქმნილი“ (იყო). ხოლო ახლო მყოფთა ესე - ვითარი აქუნდა ტრფილი, რომელ არცა უღირსთა უღირსობისა აქუნდა კედმა და რცხვენა, არცაღა თვისთა თვისობისა ვავლენა“. თამარმა „სამისოდ ვაჭრითა მხეცქმნილთა მხეცებრ აჩვენის უღმობელოობითა უწყალო - ქმნა“, და სხვ. —

3. ტ.: „ვ. ტ.“ საცესა მსგავსი ადგილებით: თვით რუსთველი ამბობს:

„ვის შორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკედარი“ (მიძღვ.: 2, 2). „ჩემსა ხელმქმნილსა შეემართო ლალსა მას ლამაზმანებ?“ (მიძღვნა: 3, 4). „იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია“ (თამარი) (მიძღვნა: 5, 3). და გმირთა „ვაჭრათა“, „ვახელებათა“ და „მხეც-ქმნილობათა“ ამოწერა შოთას პოემითგან ზედმეტი, — ეს ყველამ იცის, ვისაც ვ. ტ.“=ნი წაუკითხავს. — „ვ. ტ.“-ის გმირთა მსგავსი არც დაბადებულს არავინ და არც დაბადება, როგორც ეს ხშირად აქვს განმეორებული განსაკუთრებით „ვ. ტ.“-ის შემავსებელს (ჩანართი: 1, 6, 2; 146, 4; 192, 32, 1 და სხვ.).

13. ი. და ა.: ქორწილი თამარისა და სოსლან დავითისა: „იქმნა ქორწილი სახე-დაუდებელი და იგავ - მიუწვდომელი: სიმრავლენი სახიობათანი, ძღვნობანი და ნიჭებანი თვალთანი და მარგალიტთანი, ოქროსა ჭედილისა და უჭედელისანი, სიმდიდრეთა და ლართა კერულთა და უკერულთა, მსგევსამდე<sup>8)</sup> სისარული, შევენება, ძღვნობა და ვაცემა“.

3. ტ.: ტარცილისა და ნესტანდარეჯანის ქორწილი ზღვათა მეფისავან:

„ზღვათა მეფე ვარდაიხდის მუნ ქორწილსა მეტად დიდსა.

<sup>8)</sup> მსგევსი — კვირა.

ქაჯეთიცა დაუმაძღლა, არ გაუშვა დღესა  
წვიდსა. 9)  
უხვად გასცემს საბოძვარსა, საჭურჭლოესა  
ანაკიდსა (VIII: 89, 1-3), და სხვ.  
„მუნ იდვის გორი ლარისა, სტავრისა და  
ატლასისა“ (VIII: 90, 1), და სხვ.

შემდეგ ფრიდონისას:  
„მგოსანნი მოდგეს, ისმოედის ხმა  
სიმღერისა ტუბილისა.  
ქორწილი ქმნეს და გამრავლდა ძღნობა  
ლარისა ლბილისა  
ფრიდონის პურად კარვისა, სრ  
მასპინძლისა წბილისა“  
(ჩანართი: 179, 1-3).  
„მოიღეს ძღვენი უსახო ფრიდონის  
არ. ლქატისა:

ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა  
კვერცხი ბატისა,  
კვლა ერთი თვალი სამსგავსო მზისა  
შუქ-მონამატისა“  
(VIII: 112, 1-3), და სხვ.

„კვლა უძღვნა თვითო ფარლული,  
გადასაყრელი ყელისა,  
მრგვლად დათლილისა თვალისა,  
იგუნდისა მრთელისა“  
(ჩანართი: 180, 1, 1-2), და სხვ.

„ფრიდონისგან ქორწილია უსაზომო დღესა  
რეასა,  
ყოველთა დღეთა მთარმოდეს უფასოსა  
ძღვენსა მზასა.  
დღე და ღამე არ გასწყვეტდის ჩაღანა და  
ჩანგი ხმასა“  
(VIII: 113, 1-3).

ავთანდილისა და თინათინის ქორწილი:  
„შეყრით ძეს გორი ოქროსა და ბადახშისა  
თლილისა“.  
„მოდიოდა მარგალიტი მოფანტული  
მონაყარი,  
ვაბედიდთა წასაღებად ატლასი და  
ოქრო მყარი“  
(ჩანართი: 192, 6, 7) 10) და სხვა და სხვ.

14. ი. და ა.: შამქორის ომის წინ მებრძოლნი  
ამბობენ სხვათა შორის:

„მოვიგონნეთ... ვინმე მიჯნურნი და მნა-  
თობთა მათთა მოგონებთა ყოველად უწყა-  
ლოდ მქმნელნი ხორცთა და სულთანნი“ -ო.

3. ტ.: ტარიელი ხომ სწორედ ასეთი გვა-  
რის მიჯნურია: „ლომი ფერა-ნამკრთალი,  
გამცუდებელი თავისა, მის გულისა და  
ძალოსა“ (VII: 169, 3-4).

15. ი. და ა.: განძელებმა დავით მეფეს „გაუხვ-  
ნეს კარნი ქალაქისანი და მიუფერდეს სტა-  
ვრასა კართამდე სრისა სულტნისასა“ და  
გარდასახმადეს თავსა ოქროსა და ვე-  
ცხლსა, დრამასა და დრაჰმასა“.

3. ტ.: ნესტანდარეჯანი და ტარიელი რო-  
დესაც ფრიდონისას მივიდენ და „სრა  
ნახეს მოსაწონები“,  
„გამოეგება მრავალი ოქროს საბრტყლითა  
მონები,  
ფერხთა საფენლად ოქსინო მათგან არს  
მონაქონები,  
თავსა აყრიდეს ოქროსა, ჰხვეტს ჯარი  
მუნ ნაროხები“  
(VIII: 110, 3-4).

16. ი. და ა.: სპარსეთს დიდი ლაშქრობის წინ  
(1210 წ.)თამარმა თბილისში ნახა თავისი  
ჯარი: „განაცნა სპანი მისნი და იხილნა  
აბჯრითა კეთილითა და პატროსნითა და  
მოეწონა აბჯარ-და-ცხენ-კეთილობა  
მათი, სიდიდე და სიმხნე სპათა მისთა, შუ-  
რითა სპარსთათა აღსავსეობა, და მოილო  
დროშა სვიანად ხმარებულო“, „და მისცა  
დროშა ზაქარია ამირ-სპასალარსა, და  
წარემართნეს სპარსეთს“.

3. ტ.: ტარიელი ამბობს: ხატაეთს გალაშ-  
ქრებისათვის: (სპანი)

„ფიცხლად მოვიდეს, არ ექმნათ მათ შინა  
ხან-დაზმულობა.  
აღლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა  
მოკაზმულობა,  
სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად  
დარაზმულობა,  
ტაიჭთა მათთა სიმალე, აბჯრისა  
ხვარაზმულობა“ (III: 76).  
„აღვმართე დროშა მეფისა აღმითა  
წითელ-შავითა,

9) ე. ი. ერთ კვირას, ერთ მსგეფსს.  
10) შესხმა—მელექსემ რასაკვირველია იცოდა,  
რომ „ისტ. და აზმანი“ რუსთველის თხზულება  
ყო და მით უმეტეს სარკებლობს ის უხვად ამ  
თხზულებით „ვ. ტ“-ის შესაფერხლად.

### ღვთისმშობლის ხატის წარწერა კატიფონის მონასტერში

#### I

გრიგოლ ბაკურიანის ქართულ ტიპიკონთან ერთად ბულგარულიდან მივიღე ორი, სხვა შინაარსის, ფოტოგრაფიული ფურცელი. რაკი ეს შექმნილები სათვალავით აღნიშნული არ არის, ამიტომ პირველს უწოდებთ **A** და მეორეს **B**. ეს ორი ფურცელი თანასწორი სიდიდისა იმყოფება:  $17\frac{1}{2} \times 12$  cm. **A** ფურცელზე ნაწერის სიდიდეა  $5 \times 8$  cm. ცხრა სტრიქონით, და **B**-ზე  $6,2 \times 7,3$  cm. 15 პწკართ. თვითონ ნაწერი, შესრულებული ასომთავრული სტყურით, მოთავსებულია გვერდების ქვემო მხარეზე. **A**-ს მარჯვნივ და ქვემო, **B**-ს მარცხნივ და ქვემო კიდურზე არაა ნაწერის მოდებული ბრტყელი ზოჩუტი, რაც შეთხზულია სწორი ხაზების, ხლაჩრთების, მოგრძო ღია რგოლების და მიბნეული წერტილებისგან. ამ ლარის მსგავსად შეყვანილია **A**-ს ზემო ნაწილზე ამოყვანილი: 1) გვირგვინი, რაშიც ჩახატულია ორი ბერძნული ასო (ღვთისა); 2) გვირგვინის გვერდით **მ თ გ რ ძ ო** ოთხკუთხედი ექვსი ბერძნული ასოთი შიგ; და 3) ამ მოთხვილის ქვეშ მოხაზული ორი წრე ბერძნულივე ჩანაწერით (იესო ქრისტე). იმავე შემკულობისა იმყოფება **B**-ს ზემო მხარეზე მოსახული გვირგვინი, ორი ბერძნულ ასოს რომ შეიცავს (ღედა); ამ გვირგვინის გვერდით ჩახაზულია გრძელი ოთხკუთხედი ოთხი სხვა ბერძნულ

ლი ასოთი, რომელთა ქვეშ გლახა მართლწერით მოცემულია სიტყვა გიხაროდენ.

სიტყვები: „ღედა ღვთისა“, „იესო ქრისტე“, „გიხაროდენ“ ცხად ყოფენ, რომ ჩვენ წინ გვაქვს წარწერა ერთ-ერთი ღვთისმშობლის ხატისა, რომელსაც ხელით უპყრია ყრმა იესო. ამას ასაბუთებს თვით წარწერა, რომლის შინაარსი შემდეგია: **A** ფურცელზე ნაჩვენებია თუ ხატი როდის და ვის დროს მოიჭედა; **B**-ზე-კი მოცემულია თვით ხატის მოჭედის ამბავი და მოიჭედთა სახელები — რასაკვირველია, ყველა ეს მართლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **A** და **B** ერთი და იგივე ხატის წარწერას იძლევა, ვინაიდან **B** არ არის უშუალო გაგრძელება **A**-სი, არამედ ტექსტს რაღაც უნდა აკლდეს ამ ორი ფურცელს შუა.

წარწერაში დასახელებულია საბერძნეთის იმპერატორები: მიქაელ პალეოლოგის ძე ანდრონიკე მეორე, 1282 - 1328 წლებს შორის რომ მეფობდა და ამის პირშო ძე ანდრონიკე ანუ მიქაელ (მეცხრედ წოდებული). ანდრონიკემ მიქაელი თანაიძეფა 1294 წ.ამ მიქაელს დიდ ხანს არ უცოცხლია, იგი გადაიცვალა მამაზე ადრე, 1320 წელს. ამ იმპერატორთა მეფობის ხანას უნაკლოდ უდგება წარწერის წელთაღრიცხვა. ხატი მოიჭედა დასაბამიდან „წელს ბერძნულად

ღილასა ებრძანე გამართვა ლაშქრითა  
უთვალავითა“  
(III: 77, 1 - 2), და სხვ.

17. **ი. და ა.:** გვირგვი რუსისა და მისი მონხრეთა დამარცხების შემდეგო, ამბობს ისტორიკოსი: „შეიქმნა მშვიდობა, სიხარული და ერთობა, რომელი არა - სადა ვის უხილავს, და ერთგან ძოვდეს ლომი და ხარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა და მგელი ცხოვართა თანა“.

ეს ესაია წინასწარმეტყველის წინის აღგილიც არის (11, 1 - 7), და სარგის თმოგველის „ვისრამიანის“ და „ვეფხის ტყაოსნის“ ბოლოშიც. „ვისრამიანში“ სწერია: რამინმა „ავის მოქმედნი ამოსწყვიდნა... ეზომი ოქრო და საქონელი ვასცა, რომე ძვირთა სახელი ამოჰხოცა... ყოველნი გან-

ლხინიანდეს, მთხოელნი განმდიდრდეს, მცხვარნი მგელთა თანა ძოვდეს“.

**ვ. ტ.:** „ვ. ტ.“=ის ბოლო სტროფი ამბობს:

„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს, ობოლ - ქვირენი დაამდიდრენს და გლახაკნი არ ითხოვდეს, ავთა მქმენლნი დაამინდეს, ქრავნი ცხვართა გეფხთა სწოვდეს, შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან ძოვდეს“

(VIII: 181), და სხვა და სხვ. —

**მის. წერეთელი**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ბ: ყ: ი: თ (6819 - 5508 = 1311 წ.); ხოლო ქარ-  
თულად ხ: შ: იე (6915- 5604 = 1311 წ.); ქორო-  
ნიკონსა ფ: ლა (531+780 = 1311 წ.); ინდიკიონ-  
სა თ:“, რაც იმავე 1311 წელს მოდის. აქამდის  
ყველაფერი რიგზეა. მაგრამ **იმავე წლებისათვის**  
ქართლის მეფეებად მოხსენებულნი არიან „კონ-  
სტანტინე და დიმიტრი ბაგრატიონიანები“.

წარწერა ეკუთვნის თანამედროვე ხელს, მამ  
მიუღებელია მის ნათქვამში დაეჭვება, იმისდა  
მიხედვით, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს არა თვითონ  
ხატი მისი წარწერით, არამედ მისი ასლი, ვფიქ-  
რობ, უზადო და შეუტყვევლი. ხოლო ჩემთვის  
ხელმისაწვდომ ქართული წყაროებიდან არა  
სჩანს, რომ 1311 წ. ქართლში მეფედ მჯდარიყო  
ვინმე კონსტანტინე ანუ დიმიტრი. ამიტომ  
ვთხოვ, ვისაც კი საქართველოს ისტორიიდან მე-  
ტი მასალა გააჩნია, ამხვე უურნალის ერთ = ერთ  
რეგულში გვაცნობოს ამ ორ მეფეთა ვინაობა.

ხატის მომჭედნი ყოფილან **ორნი ძმანი ტაო-  
ელნი ეგნატესვილნი: მოძღვარი ათანასე და  
ოქროპირი**. მათ მოუჭედიათ პეტრიწონის ღვთის  
მშობლის ხატი. ხატის მოჭედასა და ერთი ვერ-  
ცხლის საკანდლეს გამოკვერასზე დახარჯულა  
166 პერპერა — ბერძნული ოქროს ფული. ათა-  
ნასი ცნობილია ერთი სხვა წარწერით, რის ბერ-  
ძნული თარგმანი გამოაქვეყნა **L. Petit** (იმ 1). ამ  
წარწერას საგნად აქვს არა ჩვენი, არამედ ერთი  
სხვა ხატი ღვთისმშობლისა პეტრიწონში, რომე-  
ლიც დაუხატია, **წარწერით, ორ ძმას ეგნატეს და  
ათანასის**, რაც შეცდომა უნდა იყოს. ამ ხატის  
მოჭედას ადგილი ჰქონია იმავე იმპერატორების  
და მეფეების დროს, ქრისტეს შემდეგ „530 წელს  
(530+780) ე. ი. 1330 წელს, მე-9 ინდიკიონს,  
12 დეკემბერს“, მამ რამოდენიმე თვით მაინც  
უფრო ადრე, მანამ ჩვენს ხელნაწერში დასახე-  
ლებულ ხატს მოსჭედდენ იგივე მხატვარნი,  
ღირსეული და სახელოვანნი შთამომავალნი  
ბექა ოპიზარისანი.

**II. წ ა რ წ ე რ ა**

**1. პირმშობი:**

(ფ. A). სბერნეთს: მეფობა: კეთილად  
მსხრთამეფეთა: ანდრონიკე:  
მხლ: დაანდრონიკესსა: პალ  
ეოლოლოსძეთსა: ხ: ქრთლს: კ  
ოსტანტინესსა: და დიმიტრისსა:

ბაგრატიონიანთისსა 2): დსბმ  
თგნთაწელთა: ბრძლდ: ხ: ყ: ით:  
: ხ: ქთლდ: ხ: შმ: იე: წოლის: მწმლ  
ო: შეიწირე: მცირეესეძლოენი  
მთი: დამენდამეოსეყვით  
დამწელოთამთთა: დღესამსდ  
ილსა 3) სსჯელისა: წეძისამენი  
სადაღისაჩრისაანანეყვნა  
ნქრნენ ფ: ლა: ინდიკიონზა  
თ: 4) ქელოშენსლნმთიშ ჭოე: რა:  
(ფ. B). ქმოიჭედა: წი ესეხატი: ყდწდ  
ისა: დღელისაჩრისაღთისმ  
შბლისა: პეტრიწოდს 5) ორთა  
ხოკლდძმათსმრ: ტაოელთ  
აეგნატესვილთა 6 მთაღრ  
ისა: ათანასის და ოქროპირ  
ისა: პერპერიოთა: რიე: და წ  
ესტისა საკანდლითავეც  
ხლისათა:

ხშირად არის ერთმანეთში არეული, რასაც აქ  
აღარ აღვნიშნავთ.

2. ქარაგმების ვახსნით და ახალი სასვენ - ნი-  
შნებით.

(ფ. A) საბერძნეთს მეფობასა კეთილად მსა-  
ხურთა მეფეთა ანდრონიკე მიქაელ და ანდრონი-  
კესსა პალეოლოღის ძეთსა, ხოლო ქართლს  
კონსტანტინესსა და დიმიტრისსა ბაგრატიონიან-  
თისსა, დასაბამთაგანთა წელთა ბერძულად სყით,  
ხოლო ქართულად ხშიე. წმინდაო ღმრთის მშო-  
ბელიო, შეიწირე, მცირე ესე ძლოენი 7) მათი, და  
შენდა 8) მეოხ ეყავნ მათ და მშობელთა მათთა  
ღელსა მას დიდსა სასჯელისსა, წინაშე ძისა შე-  
ნისა და ღმრთისა ჩუენისა, ამინ, ამინ, ეყავნ 9)  
ამინ. ქორონიკონსა ფლს, ინდიკიონსა ზედთა თ.  
ქრისტე ღმერთო, შეიწყალენ სულნი მათნი  
შჭოე 10), რათა.

- 2) ასეა.
- 3) ხელნაწერში: ედსა.
- 4) ხელნაწერში: ო, რაც მტკნარი შეცდომაა.
- 5) ასეა.
- 6) ხელნაწერში: შველთა. საზოგადოდ ი და ე
- 7) ძღვენი.
- 8) შეიძლება იყოს: „შენ და“ ან ეს „და“ სრულ-  
ლიად გამოსატოვებელი.
- 9) ალბად უნდა იყოს „იყავნ“.
- 10) ამ სიტყვაში პირველი ასო გაუგებარის,  
მეორე შეიძლება „ც“ იყოს, „ოე“ რიგზეა, ვერ  
მივაგენ თუ მთელი რას ნიშნავს.

1) Typikon de Gregoire Pacourianos (Vizantinsky  
Vremeni) 11, 1904, Supplément N 1, XIX-XX.

### ადამიანის ჯანმრთელობის საკითხი

#### წერილი მესამე \*)

პირველ წერილში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ რა ერთგულად ემსახურება ქართველი ადამიანი დღეგრძელობის საკითხს, იგი სრულებით არ უვლის თავის თავს და არ უბრუნობს იმ ძვირფას და გასაკვირველ მანქანას, რომელსაც მისი სხეული წარმოადგენს. ამასთანავე მოვიხსენიეთ, რაზედაა დამყარებული ადამიანის დღეგრძელობა და რა საშუალებით სცდილობენ მის ხელის შეწყობას. ამ მხრივ არასოდეს არ ყოფილა ისეთი მოჭარბებული მუშაობა, როგორც ეს ხდება, მაგრამ სანამ ამის განხილვას შევეცებოდეთ, საჭიროა ზოგიერთი საკითხების გათვალისწინება.

რადგან ადამიანი კარგად იყრ უვლის თავის თავს, აღრე თუ გვიან მას ძალა-უნებურად ავადმყოფობა მიიყვანს ექიმთან, მაგრამ ამ მისვლით ხშირად ბევრი არა კეთდება - რა.

აქ ცოტა უნდა გადავუხვიოთ და ერთ გარემოებას შევეხოთ, რომელიც ამ ბოლო ხნების ნიშანდობრივი მოვლენაა და რომელიც წინა დროებისთვის არ შეადგენდა სრულებით.

ეს მიზეზი მოედო ყველაფერ საქმიანობას ამ მეოცე საუკუნის დასაწყისში და სავსებით შესწავლა მუშაობის ხასიათი. იერთმა ცნობილმა ექიმმა ალექსი კარელიმა სწორედ კარგად ალლო აულო ამ თვისებას და დაარქვა სახელად თანამე-

დროვე ადამიანის გამანქანება. საერთო სიჩქარის გაძეგება და იმით გამოწვეული სიჩქარის აყოლა. ეს მოვლენა მან მიაწერა ავტომობილის გამოგონებას და საერთოდ ჩქარი მოძრაობაზე გადასვლას. და მართლაც ყველაფერს დაეტყო ეს აჩქარება. ზოგიერთ დარგში ეს ძალიან კარგი და სასურველი შეიქნა, მაგრამ ზოგიერთში-კი მეტად მავნებელი. მავალითად საექიმო დარგში მეტად მავნე. ადამიანის ავადმყოფობის გამორკვევა ისეთ ძნელსა და პასუხ-საგებ მუშაობას წარმოადგენს და ისეთ დაკვირვებასა და აუჩქარებელ მუშაობას მოითხოვს, რომ ამის მოხერხება ყოველად შეუძლებელია მცირე ხნის განმავლობაში. პირველ მსოფლიო ომს მოჰყვა ეკონომიური პირობების დიდი ცვლილება, რომელიც ყველაფერს დაეტყო. წინა დროის სწავლის დამთავრების შემდეგ გამოცდილების შესაძენად რამოდენიმე წელიწადს რჩებოდა პროფესორთან, ეხლა ბევრად უფრო მალე სტოივებდა ამ საჭირო მუშაობას, რომ მალე ჩაბმულიყო შემოსავლიან მუშაობაში. ძალზე დაბევრილი მთავრობისაგან და იძულებული ცხოვრების გაძვირებით უფრო აჩქარებით და მეტად უნდა ამუშავებულიყო, რომ რაც შეიძლება ნაკლებ დროში მეტი მოესწრო. ამან გამოიწვია რასაკვირველია აჩქარება მუშაობისა, აჩქარება აზროვნების, აჩქარება დასკვნის.

ადამიანის სხეული მეტად რთული და ძნელი გამოსარკვევი მანქანაა და ამას უნდა დიდი დაკვირვება და აუჩქარებელი აზროვნება. მაგონდება კარგად ჩემი პროფესორის დიელაფუას სიტყვები, რომელიც მუდამ გვიმერებდა: როდესაც სინჯავთ ავადმყოფს და გამოიყვანთ რაიმე დასკვნას მისი ავადმყოფობის შესახებ, ნურასოდეს ნუ დაადგებით საბოლოოდ ერთ რომელიმე დასკვნას. ყოველ დღეს ჩატვირთი მის ნათქვამსაც და ნიშნებსაც კლინიკურს, რომელსაც მიიღებთ კიდევ დამატებითი გასინჯვით. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენი პირველი მთაბეჭდილება და დასკვნა შეიძლება სულ მცდარი იყოს. ყოველ დღე ძიებაში უნდა იყოთ და სხ. ასეთ აზრებს გვიმერავდნენ და პირადის გამოცდილებით ამნაირად გვრწვთნიდნენ. ასე რომ ეს ჩვეულება კანონად გვქონდა დადგენილი იმ მთამომავლობის ექიმებს. თავი და ბოლო იყო

\*) იხ. „ბ. ქ.“ № 1 და 2.

(გ. ბ) ქ. მოიქცედა წმიდაი ესე ხატი ყოველად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისა პეტრიწოდს<sup>11)</sup>, ორთა ხორციელად ძმათა მიერ ტაოელთა ეგნატესმვილთა, მოძღურისა<sup>12)</sup> ათანასის და ოქრობირისა, — პერპერითა რიე<sup>13)</sup> და წინაშე ხატისა საკანდელითა ვეცხლისა<sup>14)</sup>.

#### მ. თარხნიშვილი

11) პეტრიწონის მაგიერ.  
 12) მოძღვარი: ოსტატი, ხელოვანთ-მთავარი.  
 13) ამ რიცხვში პირველი ასო რ ცხადია, მეორე წაავაგს ხელნაწერის ა - ს, მაგრამ ბოლო დღეა დაწერილი აქვს, მესამე ასო არის ი, რაც ეგონება, ე უნდა იყოს.  
 14) ასეა.

ავადმყოფი და საათს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა დათმობილი.

ესლა - კი, ნახევარი საუკუნის შემდეგ, რომ ჩამოვედი საფრანგეთში და დავუთვარი ექიმების მუშაობას, სულ სხვა სურათს ვხედავ. სადღა არის ის აუჩქარებელი მუშაობა? სადღა არის ის სიღინჯე, ავადმყოფის გულ - დასმით მოსმენა, მისი მდგომარეობის დინჯეი გამორკვევა? ეს ყველაფერი შორეულ მოგონებად გამხდარა! ყველა საათს მისჩერებია და ყველაფრის ხელმძღვანელი ეს კედელზედ ჩამოკიდებული, ან ხელზე შეხებული იარაღი გამხდარა. ყველაფერი მას ემორჩილება. მართლაც - და ავტომობილისებურ სიჩქარეს გადაუბირებია ადამიანი. ყველა მუშაობს, როგორც ფრანგები იტყვიან „უკან ცეცხლ - მოდებულივით“, ან ქართული თქმულებისამებრ „ბუზარა — შემჯდარი ხარით“ დახტაინ. ვის სცალია წყნარი ლაპარაკისა და დინჯი მსჯელობისათვის? რომ შეგხვდებათ აქაური ექიმი თავაზიანობის წესით რასაკვირველია მოგაჩეჩებს ხელს და მოგაძახებს: „კომან სა ვა“, ან სიმოკლისათვის უფრო ხშირად „სავა“, მაგრამ არც-კი უცდის თქვენ პასუხს, განაგრძობს ლაპარაკს, სრულებით არ ებრიალება როგორა ხართ. თუ ავადმყოფი მიმართავთ, დავეითხება: (რა გაწუხებთო, მაშინვე მივარდება თქვენ მიერ დასახელებულ ადგილს და ძალიან იშვიათ შემთხვევაში დახედავს სხვა ნაწილებს თქვენი სხეულისას. მან იცის კარგად, რომ ჯერ სადაურობა უნდა გკითხოს, რომ წარმოიდგინოს კარგად რა ქვეყანაში ხართ დაბადებული. შემდეგ უნდა გაითვალისწინოს დედა და მამა რამდენი ხნის არიან, ან თუ გარდაიცვალენ, რა ხნის და რა ავადმყოფობით; გაქვსთ თუ არა მემკვიდრეობით გადმონაცემი რამე ავადმყოფობა. შემდეგ ბავშობისას რითი ყოფილხართ ავად ან საზოგადოთ ხომ არ დავიტოვათ ბავშობის ხანამ რაიმე ზიანი, ან რაიმე სისუსტე, რაზედაც ფეხი შეეძლო მოეკიდებია ეხლანდელ ავადმყოფობას. ყველაფერი ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ საათის შემხედვარი ექიმს არ აქვს ამის დრო. სულ აქვს მას ნაფარადღევი ათი წუთი და ამ ხანში ყველაფერი იქნა მოესწება. მას აჩქარდეთ. საჭიროა ყოველთვის ფილტვების გასინჯვა, მაგრამ თუ არ ახველებს ადამიანი და არც ახსენებს ამას, რა თავში ვიხლი ფილტვის გასინჯვას — ასე ჰვიქრობს აჩქარებული ექიმი. ფილტვების კარგად გასინჯვას სჭირდება მილის მიღება წინ შეკრდზე, ოთხგან და მოსმენა გვერდებზე ორგან

მაინც, ზურგს უნდა ორკვე მხრით რვა ადგილს მაინც. ეს უკვე გამოდის ოცი წერტილი. ხან და ხან საჭიროა ღრმად სულის ამოსუნთქვა. მართო ამას დასჭირდება სულ ცოტა ხუთი წუთი მაინც. ეხლა გულის მუშაობის გამორკვევას სჭირდება ოთხი ადგილის მოსმენა, ხან სუნთქვის შეჩერებით და ხან არა. დარჩა კიდევ გამოსარკვევი, რა მდგომარეობაშია ღვიძლი და ტყლიბი. უნდა ხელი შეახოს ექიმმა ორ ადგილს იმის გამოსარკვევად, ხომ არ არის გადმოშორებული გვერდის ნეკნებს მათი სამხედვარი. თანაც ხელის შეხებასთან ერთად საჭიროა აგრეთვე თითზე დარახუნება, რომ ბევრით დარწმუნდეთ ამ ორგანობის ზომის შესახებ. თანაც სტომაქის ორიოდე ადგილს ხელი უნდა შეახოს ექიმმა, რომ დარწმუნდეს როგორ იხელებს სტომაქი საჭმელს. ნერვების მდგომარეობის შესახებაც საჭიროა მუხლის დადება მთორე მუხლზე და ჩაქურის დარტყმა იმის გამოსარკვევად, რამდენად მხვილია საერთო გრძნობიერება, ჯერ ერთ მუხლზე, შემდეგ მთორეზე. აგრეთვე საჭიროა მუხლზე ავადმყოფის დახეცვით ქაღალზე ჩაქურის დარტყმით ამ ადგილის ნერვის სიმხვილის გამოსარკვევა. კიდევ რამდენი რამ რჩება, მაგრამ ვის აქვს ამის თავი? სად მოესწება ყველაფერი ეს და საათი ხომ არ იცდის? ჯანდაბას ავადმყოფის თავი! ექიმი უკვე დიდი ხანია, რაც ჰვიქრობს, რა სახელი და არქვას ავადმყოფის სხეულებას, რომ წამალი გამოუწეროს და გაისტუმროს. იგი საჩქაროდ იღებს კალამს, ავადმყოფი იკითხება თავის მდგომარეობის შესახებ. ზედ აწერია ყველაფერი წამალსო — საჩქაროდ უპასუხებს ექიმი და სცილებს მას ფასავლელ კარებამდე. უკვე შემდეგ ავადმყოფზე ჰვიქრობს ექიმი და თუ ბევრი უცდის კიდევ, მით უფრო უნდა აჩქარდეს, რადგანაც საათი არ იცდის და მუშაობს.

ერთმა სხალგაზრდა ძალიან კარგმა ექიმმა მითხრა: ძალიანაც რომ მიხდოდეს, ათი წუთის მეტი არ შემძლია დავუთმო თვითეულ ავადმყოფსო და ასე დაასაბუთა თავისი აზრი: რომ გავითვალისწინო ჩემი ბინის ქირა, დაკისრებული სახელმწიფო ბაჟი, რომლის აღნიშვნას მე-კი არ მკითხავენ, არამედ თვითონ შემაწერენ ხოლმე ბინის მოწყობილობის-და მიხედვით, ავტომობილის ხარჯეი, მისი დაზღვევა, (უავტომობილოდ-კი შეუძლებელია საექიმო მუშაობა), ამასთან ჩემი და ოჯახის რჩენა. ყველაფერი ეს მაიძულებს, რომ ათი წუთის მეტს ვერ დავუთმოთ თვითეულ ავადმყოფსო.

სამსონ ზიცხალავას „თეორიებისათვის“

კარგი ხანია, რაც ბ. სამს. ფირცხალავას შრომა: „ქართ-თა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიასში“ გამოვიდა. თუ ჩვენ ასე დაგვიანებით ვეხილვება ამ შრომის განხილვა, ეს იმიტომ რომ აქამდის უკუღმართ პირობების გამო ამის საშუალება არ მოგვეცა.

ეს შრომა ავტორის საჯაროდ მოუხსენებია პარიზში, მაგრამ არ ვიცით, ვისმეს მიუქცევია თუ არა იქ ავტორის ყურადღება შეცდომებზე და საექვო საკითხებზე; ჯადმოგვეცემენ მხოლოდ, რომ აქამდინ ის ქართულ ჟურნალებში განხილული არ ყოფილა. ეს მოვლენა კი ერთის მხრივ უყურადღებობა არის თვით ავტორის მიმართ და მასთან ასეთი მნიშვნელოვანი თემისათვის გვეჩადის ახვევა განათლებულ საზოგადოებისათვის დაღწეველი.

აქ კი, უცხოეთში, ამ დარგში კარგიცა და დიდი მეცნიერებიც მოიპოვებინ!

ამ შრომის განხილვა მით უფრო საჭიროა, რომ აქ ბევრი რამ საცილობელია, არა დამაჯერებელი, და მასთან, ფრთხილად რომ ვთქვათ, ისეთი გაბედული აზრებია გამოთქმული, რომ თუ უცხოეთის მეცნიერები არა, უსათუოდ ჩვენი მეცნიერები, იქ საქართველოში, უმცირებსა დაგვწამებენ.

მის კრიტიკულად განხილვას და მიუდგომელ მსჯავრის დადებას ქართველისათვის აძნელებს ერთი მომენტი — სახელდობრ ის, რომ ის ისეთი გრძნობით, განცდით, პატრიოტული რომანტიზმით და მშვენიერი ენით არის დაწერილი, რომ მკითხველს ჰზიბლავს, მის გულსა სიამოვნებს, მისი ფანტაზია მას იტაცებს, აღფრთოვანებს. გინდა ყველაფერი დაიჯერო და ადვილად შეჰყავს ხაზი ცდომილებაში.

მაგრამ მეცნიერება პატრიოტულ სანტიმენტალიზმს ვერ ითმენს. არც ჩვენ გვმართებს ყალბმა გრძნობამ გავგიტაცოს, რათა ზოგიერთ პატარა იერებსავე პატივმოყვარეობის სენმა არ შე-

გვიპყროს, ცუდი თვისება მათსავეთ არ დაგვიმდეს, მივითვისოთ ის, რაიც არ გვეკუთნის, არც გვეჭირდება; თავი ისეთებად გავასალოთ, რაიც არც ვყოფილვართ, არც ვართ.

მეცნიერებაში სიმართლე არ იმალება; ის ყოველთვის იპოვნის ჭეშმარიტებას. ამიტომ უნდა ვერიდოთ, პრიმიტიულობა არ დაგვწამონ, ტრახბანობისათვის არ დაგვეცინონ.


ჩვენი ერთი ისედაც დიდი ისტორიის და დიდი კულტურის ერია! პრობლემების გადაჭრა, მათი გარკვევა მეცნიერებაში, თვით მეცნიერების საქმეა, კომპლიატორმა მხოლოდ ის უნდა გადმოსცეს, რაც უკვე გარკვეულია და რა არის გარკვეული. დასკვნებს, მით უფრო გადაჭრით დებულების დადგენას, უნდა მოერიდოს. ეს ავტორმა არ შეასრულა; თუმცა თვით ამბობს შესავალში, რომ ის არ არის სპეციალისტი, მაგრამ ისე ღრმად შესტობა, რომ გზა მთლიად დაებნა.

დეტალურად ამ შრომის გარჩევა შეუძლებელია ორი მიზეზის გამო: ერთი იმიტომ, რომ ის ერთს წერილში ვერ მოთავსდება და არც ჟურნალის ფარგლებშია ეს შესაძლებელი; მეორე იმიტომ, რომ ბევრი იქ დაყენებული საკითხები სხვა და სხვა დარგის მეცნიერთა საქმეა. ამიტომ ჩვენ აქ მხოლოდ ზოგადად ვიხილავთ ამ შრომას; ვგებთ იმ დებულებებს, რომლებიც მეცნიერებაში საყოველთაოდ ცნობილია, და მიუთითებთ მთავარ შეცდომებზე, რომ ნათელი ვყოთ მკითხველისათვის, თუ რა სიფრთხილეა საჭირო მეცნიერულ საკითხების გარკვევისას.

ამ ზემოხსენებულ წიგნში მოთხრობილი, ვარდა თვით ავტორის საკუთარ აზრებისა და დასკვნებისა, ამოღებულია ევროპული ორიენტირებული წიგნიდან და ამ დარგს არ გაცნობილ მკითხველისათვის სასარგებლოა, რათგანაც მას შეუძლია ამით ძველ აღმოსავლეთის ისტორიაზე და კულტურაზე წარმოადგენა იქონიოს.

მაგრამ დროა, რომ ჩვენ „წინაპრებზედ“, „რასაზედ“, ჩვენი ენის ნათესაობაზედ ძველი აღმოსავლეთის სხვა ენებთან და სხვა, ცოტა ფრთხილად და გარკვეულად ვიმსჯელოთ ხოლმე და არ ვიმეორებდეთ უსაბუთოდ და მაგალითთა აღუნიშნავად ძველ აზრებს, რომელიც სხვა და სხვა მეცნიერებს გამოუთქვამს — ზოგს თითქმის ერთი საუკუნის წინად. მაგალითად: —

ა) ლენორმანი, სეისი და შემდეგ სხვა მკვლევ-



ამნაირად თანამედროვე ექიმს საკმაოდ დრო არ აქვს ავადმყოფის რევიანად და გულდასმით გასინჯვისათვის!.. სამწუხაროდ ეს დებულება უნდა ვიწამოთ როგორც თანამედროვე ცხოვრების იტულებითი და სამწუხარო შედეგი.

ექ. ვახტანგ ლამბაშიძე





ვარნიც ქართულს ადარებდენ ურარტულ ენას (ე. ი. ვანის ლურსმულ წარწერათა) და ხედავდენ ნათესაობას მათ შორის. ეს იმიტომ, რომ მათ ურარტულ გრამატიკაზედ და სიტყვათა მნიშვნელობაზედ სრულიად ყალბი წარმოდგენა ჰქონდათ. როდესაც შემდეგ ესე ყოველი გამოიკვავა (იხ. Prof. Dr. M. v. Tseretheli — «Sitzungsberichte der Heidelberger Akademie der Wissenschaften», — 1929; და მისივე Revue d'Assyriologie 1933-36), აღმოჩნდა რომ ქართულს არავითარი ნათესაობა არა აქვს ურარტულთან. — გამოიკვავა აგრეთვე, რომ „ჰალდი“ იყო ურარტულთა მთავარი ღმერთის სახელი მხოლოდ და არა იერისა, როგორც ეს ეგონა გერმანელი მეცნიერს ლემანს, და ამით შედარება „ჰალდის“, „ჰალდი“-ს, „ჰა-რით“-უსთან უნადაგო გამოდგა. ურარტუ — ას-სურული სახელი იყო სომხეთის ძველი ტერიტორიისა, თვით ურარტუს ერი კი თავის თავს უწოდებდა „ბიანილი“ (ბიანელები), თავის ქვეყანას კი „ბიანი“, საიდანაც არის დარჩენილი სახელწოდება „ვიან“-ი.

ბ) ხეთის ქვეყნის ლურსმულ წარწერებში ბერი ენა აღმოჩნდა. აქედან ინდოგერმანულ ხეთურს ქართულთან არ აქვს ნათესაობა. ჰურულს აქვს თითქოს რაღაც ნათესაობა ურარტულთან, მაგრამ არც ეს არის საბოლოოდ დამტკიცებული; ხოლო ეს ნათესაობა თუ დამტკიცდა, სწორედ ამით დამტკიცდება ჰურულის არა-ნათესაობა ქართულთან. პირველ-ყოფილი ხეთურის შესახებ კი ძლიერ ცოტა ვიცით და ამიტომ არც მის შედარებას ქართულთან გამოუღია რაიმე კეთილი ნაყოფი.

ამნაირადვე უსაბუთოდ იმეორებენ დიდი ხნითგან ქართულის ნათესაობას ელამურთან, ეტრუსკულთან, მცირე აზიის ენებთან, შემდეგ ბასკურთან და სხვა. არავითარი საგრძნობელი შედეგი ყველა ამ შედარებათ არ გამოუღიათ.

გ) ერთად-ერთი ენა, რომელსაც ქართულთან მართლა გენეტიური ნათესაობა აქვს, არის სუმერული. პირველი სისტემატიური შედარება სუმერულ და ქართულ გრამატიკულ ფორმათა და სიტყვის ძირთა მოგვცა პროფ. მიხ. წერეთელმა 1912 წ. ქართულად სამს. ფირცხალავას მიერ გამოცემულ „გვირგვინში“, და მერმე ინგლისურად „ბრიტანიის სამეფო საზოგადოების ყურნალ“-ში 1913-1916 წ. ეს შეუძლებელია ს. ფირცხალავას არ სცოდნოდა, რათგანაც თვით გამოსცა ეს გამოკვლევა, დასაკვირველია, რად ამბობს ის თავის წიგნის შენიშვნაში

გვ. 44 — „მიხ. წერეთელს საკმაოდ მოზრდილი ლექსიკონი აქვს შედგენილი საერთო სიტყვებისა ქართულსა და სუმერულში“. — მას მარტო „საკმაოდ მოზრდილი ლექსიკონი“ კი არა, არამედ მთელი გრამატიკა აქვს ეგნაილული (ეს შრომა მიხ. წერეთლის ჩვენ სახელოვან მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს უკვე 1913 წ. გამოცემულს მის „ქართველ ერის ისტორიაში“, წ. I, აქვს მოხსენებული). ლენორმანს არასოდეს არ გამოუთქვამს აზრი სუმერულისა და ქართულის ნათესაობისა (არც სხვას არავის!), არამედ მის და უმეტეს ნაწილს მკვლევართა სუმერული თურანულ ენად მიანდათ. ესეც არ იცის ს. ფირცხალავამ და ლენორმანს ათქმევინებს იმას, რაზედაც მას არას დროს არ უფიქრია. მხოლოდ პროფ. მ. წერეთლის შრომის გამოქვეყნების შემდეგ გამოთქვა ზოგიერთმა აზრი სუმერულის ნათესაობისა კავკასიურ ენებთან (მაგალით.: ვ. კრისტიან, **Babylonica, XIV**).

როდესაც მკვლევართა წიგნებით სარგებლობს დილეტანტი, დიდი სიფრთხილვა საჭირო, რომ უსახდრო არეგ-დარევა და გაუგებრობა არ შეიტანოს თავის კომპილიციაში.

ს. ფირცხალავას მაგ. სიტყვა „ეერი“ (უფალი) სუმერული სიტყვა ჰგონია (ამას ის ვერსად ნახავდა, თვით აურევია), ნამდვილად კი ის არის ურარტული სიტყვა. ეს კიდევ არაფერი, — იგი მას აღარებს სუმერულს „არალუს“ (=საიქიო) და ამბობს — „იერი - არალე, სუმერულად (?!) იერი = უფალს, მამასადამე აქ გვექნება უფალი არალე (არალე); თარი - არალე—თარი სეანურად არის მთავარი, მამასადამე მთავარი არალე (არალე)“ (გვ. 46-47). ეს ისეთი ამსურღია, რომ შეუძლებელია მეცნიერულ აზროვნების კაცს თავში მოუვიდეს!

ავტორი უხვად იმეორებს სხვა ძველ შეცდომებს: მაგ. ქართული „ღმერთი“ ელამური ქალღმერთის „ლაგამარ“-ის ნათესავია; თითქოს ძველი ქართული „არდი“=მზე და „ქალღმერთი“ (ურარტული) „არდი“=მზე ერთი და იგივეა და სხვ. ნამდვილად კი არც ძველ ქართულად რქმევია მზეს „არდი“ და არც ურარტულად. ურარტული „არდი“=მზე სეისის შემცდარი წაკითხვის შედეგი იყო მხოლოდ, და როდესაც სწორად წაკითხეს მისი გამოხატვეული ლურსმული ნიშნები, გამოდგა რომ ურარტულად მზეს ერთქვა „შივინი“. ხოლო იქ, სადაც ავტორი იხსენიებს ზოგიერთ ახალ შედეგს ქართული საწარმართო პანთეონის კვლევისა, ის არც ავტორს ასახე-

ლებს და არც წყაროს, თუ საითგან ამოიღო ქართველი და წინა - აზიელთა ღმერთთა სახელების შედარებანი.

აქეთგან ნათლად სჩანს, რომ ავტორი ვერ გაეჩვენა ენათმეცნიერებაში. მან ისიც ვერ შესძლო, რომ ახალ მეცნიერულ ლიტერატურას გასცნობოდა; აქ გასაკვირვიც არაფერია, რათგან ენათმეცნიერება ისეთი რთული და ძნელი დარგია, რომ ეს მხოლოდ საეციალისტთათვის არის მისაღწომი. ამიტომ დროა მოვსცილდეთ ასეთს პრიმიტიულ მეთოდებს მსჯელობისა. იგი უკარგავს ამ საკითხებს არა თუ მეცნიერულ მნიშვნელობას, რამედ ის თვით მისი პოპულიარიზაციისათვისაც სრულიად უვარგისია და გამოუსადეგარი.

მეორე ნაწილი შრომისა შეეხება ქართველი და კავკასიური ხალხების წარმოშობის, სხვა ერთბთან ნათესაობის საკითხებს და იქ არის მოთხრობილი ისტორიული ამბები და ფაქტებიც. მაგრამ ისეთი აღრევია აქაც, რომ ძნელია გაერკვეს ადამიანი. ხშირად ავტორი აკეთებს სრულიად დაუსაბუთებელ დასკვნებს, ასე რომ აქაც ბევრი რამ არის საცილობელი და საეჭვო. მაგ. ის თეორია, თითქოს ეტრუსკელები კოლხიდიდან იყვნენ გადმოსახლებულნი (სად ამოიკითხა ეს?)\*) უარყოფილია ისტორიული მეცნიერების მიერ. სამწუხაროდ ყველა ამ საკითხებზე ჩვენ ვერ შევჩერდებით. ჩვენ გვჯერა, რომ ავტორი ხელმძღვანელობდა კარგი სურვილებით, მაგრამ მეცნიერულ კვლევისათვის ეს არ კმარა.

შემდეგ ავტორი იხილავს კერძოდ კავკასიას, მის ხალხებს, მათ რასას (მოღმას), და აქ უკვე ავტორის ეროვნულ-პოლიტიკური მხარეა ამეტყველებული. რასაც ავტორი სწერს ამ ნაწილში (55-დან ბოლომდე), ეს გაწამებულ და სასოწარკვეთილებას მიცემულ ქართველის გულიდან ამონახეთქია, და მისი მწარე საყვედურები უცხოსა და შინაურის მიმართ სამართლიანი.

ის საყვედურიც სამართლიანია, რომ განათლებულ ქვეყნების მეცნიერებაში ქართველებს და საერთოდ კავკასიოლოგებს მეტად მცირე ადგილი აქვს დათმობილი და ამ უძველეს კულტურის ქრებს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. რა თქმა უნდა, ეს მოვლენა სამარცხვინოა თვით ამ განათლებულ ქვეყნებისათვის და დიდი დანაშაული თვით მეცნიერების მიმართ. მაგრამ გოდებით საქმეს ვერ ეშველება. ეს მდგომარეობა

მა მანამდე დარჩება, სანამ თვით ქართულ მეცნიერებას გზა განათლებულ ქვეყნებისაკენ დახშული აქვს და სანამ უცხო მეცნიერება მასთან ურთიერთობას არ აღადგენს.


ავტორს კარგად ესმის ეს მდგომარეობა და მით უფრო არის გამწარებული. ის გულგატეხილია და სხვებს მესჩივის თავის გულის ტკივილს. ის წინადაც გაძისთქვამდა თავის მწუხარებას, ერთს ომის წინ გამოსულ წიგნში და წერდა: „ამ ქვეყნად სიყვარულიც კი ფულზედ იყიდებაო“. — ბესიკის და საიათნოვას თანამემამულე მოსთქვამს და გოდებს!

ძველად ასეთი მონასტერში მიდიოდენ და იქ ეწოდენ მწიგნობრობას სადიდებლად ერისა და ქვეყნისა. ჟამთა და ბედთა ტრიალს დასტიროდენ და ამ „სოფელს არვისგან დასაზღობელს“ საყვედურობდენ.

დღეს მონასტერში წასვლა, მიღებული არ არის. მაგრამ, როგორც გავიგეთ, ავტორი, სამშობლოში დაბრუნებული, საქართველოს მუზეუმის არქივის საკანში შეხიზნულა. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, აქ იგი ბევრ რასმ იპოვნის ჩვენი ერის წარსულიდან და ამცნობს ქვეყანას, სადიდებლად მისდა. ჩვენი ქვეყნის წარსული მდიდარია რომანტიზმით, ასე რომ ის მდიდარ მასალას აღმოაჩენს (სხვა ერების სტორიაში რომ ბევრი ისეთი დრამატიზმით და რომანტიზმით მდიდარი იუბიზოდი იყოს, როგორც მეფე ბაბაგრატი და ლიპარიტ ორბელიანის ბრძოლა არის, უკვე ასი რომანი იქნებოდა დაწერილი!).

ოღონდ ეს მისი ნაწარმოები უნდა იყოს მოთხრობილი როგორც თავგადასავალი და ამბავი, როგორც ეს შეეფერება მისი ჟანრს და სულიერ განცდას. თორემ თუ ავტორი კიდევ შეეცადა რომანტიზმით და სატიმენტალიზმით შემკული „მეცნიერული“ შრომა გამოსცეს, მაშინ მას უკვე იქ თვით ჩვენი სახელოვანი მეცნიერები გასცემენ პასუხს.

ნარ - ნარი



მ ო ზ ო ნ ე ბ ი ლ ა ნ

მცირე რამ დიდ ილიას შესახებ \*)

რუსეთისადმი ილიას ტაქტიკა, ნაკარნახევი საქართველოს უმწეო პოლიტიკური მდგომარე-

\*) ალბათ მარჩის ძველ ნაწერებში. რედ.

\*) ბ. გ. ურული თავის მოგონებაში ვვამც-



ობით, ყოველთვის იყო: „არა ლოიალობა ლე=გალურ ფორმებში ნაწარმოები“. სწორედ ამ ფორმულით უნდა ავხსნათ ის მისი მოქცევა, რომელიც მან, ჩემს ხსოვნაში, ორჯერ განიშორა რუსეთის ხელისუფლების მიმართ.

1) როდესაც რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე გარდაიცვალა, ტფილისის პრესას დაუდგა საკითხი ამ ამბავისათვის ანგარიში გაეწია, იმიტომაც რომ ადმინისტრაციამ რედაქციებს აცნობა, იგი ერთად თავს უყრის ყველა იმ წერილებს, რომელიც კავკასიის პრესაში იქმნება ამ დღისათვის აღბეჭდილი.

ქართულ ერთად-ერთ გაზეთსაც დაუდგა, ასე ვსთქვათ, ყოფნა-არყოფნის საკითხი. ილია ჭავჭავაძემ, როგორც რედაქტორმა, შეადგინა „სამძიმრის“ უნდა წერილი (შინაარსი აღარ მახსოვს), და იძულებული იყო დაებეჭდა „ივერიის“ ფურცლებზედ.

2) მეორე შემთხვევა ასეთი მაგონდება. ქართულმა საზოგადოებამ დაადგინა დიდის ზეიმით გადაეხადა ილიას 50 წლის მოღვაწეობის იუბილე. მომწყობ კომიტეტის სათავეში იდგა ყველასაგან პატივცემული ჩვენი მწერალი ქალი

ნობს, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა დიდ ილიას, თუ რამდენი სიფრთხილე და მოქნილობა მმართველას მას, რომ თავიდან აეშორებინა რუსული ცენზურის და ადმინისტრაციის სასტიკი მეთვალყურეობა.

დიდი ხანია, რაც ერთი ნაწილი ქართული საზოგადოებისა ებრძვის ჩვენი ეროვნული აზროვნების ბურჯს, ილია ჭავჭავაძეს.

მაშინ, როდესაც სამშობლოში თვით ბოლშევიკებიც იძულებულნი გახდნენ ქედი მოეხარათ ამ „ქართველი ერის ნამდვილი მოურავის“ წინაშე, საუბედუროდ აქ, ემიგრაციაში დღესაც გრძელდება ცდა მისი დამცირებისა.

რედაქცია

ეკატერინე გაბაშვილი. ამ ზეიმის სამზადის ყური მოჰკრა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ და, რასაკვირველია, დაადგინა აკრძალული ყოფილიყო. ტფილისის პოლიციის უფროსი მაშინ იყო პოლკოვნიკი ზღონოვსკი და სწორედ მას დაეუღლა მისულიყო დარაზმული ძალებით და ჩაეშალა ზეიმი. ძალიან იყო შეწუხებული ამნაირი დავალებით პოლიციის უფროსი. იგი იყო ახლო მეგობარი კოტე აფხაზისა, იცოდა რა დიდი პიროვნება იყო ამ უკანასკნელის ბიძა ილია ჭავჭავაძე და ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური. ბედზედ ქრთხელ თვალი მოჰკრა ზღონოვსკიმ ილიას ქუჩაში, ფაქტონით მიმსვალს, სალამი მისცა და შეაყენა მოკლე ხნით. უამბო რა დავალებაც ჰქონდა დაკისრებული და სთხოვა ჩვენს მცხოვან მოღვაწეს რამე გამოსავალი მოეძებნა. ცხადია, როდესაც საიუბილეო კომიტეტმა გაიგო ყველაფერი, გულდაწყვეტით დაადგინა გადაედო ზეიმი უკეთესი დროისათვის.

და აი, როდესაც ასეთი დღეები დაგვიდგა, ილია ავაზაკურად იყო მოკლული!...

პეტერბურგში რევოლუციონერმა ძალებმა რომ გაიმარჯვეს, იქ, და სხვა ადგილებშიც, გამოქვეყნებული იყო საიდუმლო მასალები პეტერბურგის „ოხრანკისა“. ერთი ასეთი საიდუმლო მიწერ - მოწერს ილიასაც შეეხებოდა. იქიდან სჩანდა, რომ ჩვენი დიდი მოღვაწე სულ მუდამ ჩემი ზედამხედველობის ქვეშ ჰყავდა პოლიციას და როდესაც ილიამ რუსეთის სატახტო ქალაქში თავისი უაღრესად იაბოზიციური სიტყვა მიახალა პირში რუსეთის მმართველებს საქართველოს დასაცავად, გრაფ სოლსკის კომისიაში, ყველამ დაინახა, რომ „ოხრანკის“ შეფასება ილიას პიროვნებისა სწორი იყო! იმიტომ ადვილად დასაჯერებელია, რომ ილიას მკვლელობაში წილი ედოთ საიდუმლო პოლიციის აგენტებსაც.

გ. ურული

ქართული ორნამენტი და წმ. გიორგის ტაძრის სამკაული იურიევო - პოლოცაში

ქართული ხელოვნების გავლენა სამხრეთ რუსეთის ძეგლებზედ სხვა და სხვა დროს ზოგადად აღნიშნეს: ნ. კონდაკოვმა, თ. შმიდტმა, ვიოლეტ ლე დიუკმა, სტრიგოვსკიმ და მისმა მოწაფემ გლუკმა.

სამწუხაროდ მათი ცდები ამ მხრივ მხოლოდ ზოგადი ხასიათისა არის და ღრმა მეცნიერულ ანალიზს მოკლებული. კონდაკოვი, ვიოლეტ ლე დიუკი და შმიდტი ფიქრობენ, რომ საშინლო რუსეთისა და უკრაინის პროვინციებში საქართვე-

ლოდან მოწვეული ოსტატებს — ხუროებსა და მხატვრებს — უნდა ემსუბენათო. საამისოდ მოაქვთ შესატყვისი მაგალითებიც, როგორც ხუროთმოძღვრული ისე ფრესკული ხელოვნების ძეგლებისა. გამონაკლისს შეადგენს ვენის უნივერსიტეტის პროფესორი სტრიგოვსკის მოსაზრება, რომელმაც სომხეთში დიდი ხანი იდაპო, მისი ხელოვნების ძეგლებიც სხვებზედ უკეთესად შეისწავლა და ამის შედეგად ოცდაათი წ. წინად ორი სქელტანაანი შრომაც გამოაქვეყნა.<sup>1)</sup> ამ შრომაში სტრიგოვსკი შეეცადა ევროპიული ხუროთმოძღვრების საწყისი მისი პირველადი კონსტრუქტიული ფორმებისა და ელემენტების ძირითადი სომხეთში მოეძია (მის გაყალბებულ, ტენდენციურ და ნაწილობრივ უსაფუძვლო თეორიამ დიდი აღწვთება გამოიწვია ხელოვნების მცოდნეებში და დღემდისაც უნდობლად ეყილებიან...), აქ ჩვენთვის სტრიგოვსკის მოსაზრება საინტერესო არის იმდენად, რამდენადაც იგი ქართული ხელოვნების რუსულზედ გავლენას ეხება. მაგრამ საეკლესიოთა ის, რომ იგი აქ არა საქართველოს უშუალო გავლენას ხედავს, არამედ გულისხმობს ნაკადს სამხრეთიდან მომავალს საქართველოზედ და მხოლოდ აქედან გადადის სამხრეთ რუსეთზედო. ამ მოსაზრების დასაბამთებლად იხსენიებს წმ. გიორგის ტაძარს (იურიევი-პოლოცკში) და ახტამარს (სომხეთში), კერძოთ კი ამ ტაძრების გარე პლასტიურ სამკაულს, რომელიც მეცნიერული ორნამენტისა და ცალკეული პლასტიური გამოსახულებებისაგან შესდგება.

ეს ორი ძეგლი გარეგნული აღნაგობით მართლაც საოცარ მსგავსებას ამჟღავნებს, ხოლო თუ მის ცალკეულ დეტალებს დაუკვირდებით და შეეისწავლით, სინამდვილეში დიდ განსხვავებას დაინახავთ.

ახტამარის გარეთა კედლების ზემოთ ორი მესამედი რელიეფებითა და მცენარეული ორნამენტით არის შემკული, რომელიც განსაკუთრებულ კანონზომიერებას ექვემდებარება. კედლის ზემოთა ნაწილს გარს უვლის ყურძენ მოსხმული ვახის წრიული ორნამენტი, რომელშიც ადამიანებისა და ზღაპრული ცხოველების გამოსახულებებია გამოკვეთილი. ქვემოთა ორნამენტალური ზოლი წარმოადგენს აგრეთვე მცენარის მოტივს, ხოლო იმ განსხვავებით, რომ აქ არა გვაქვს ორ-

ნამენტის სახის მრავალფერობა, არამედ მონოტონური განმეორება მოტივისა დაუსრულებელ ხლართად. ამავე სარტყელზედ მოცემულია აგრეთვე ისტორიული, ბიბლიური და ლეგენდარული კომპოზიციები—ცალკეული და ჯგუფური. ხოლო ოდნავ ზემოთ—იქვე—ერთ სწორ ხაზზედ ასიმეტრიულად განლაგებული, წრიული ჩარჩოთი შემოზღუდული წმინდანების მკერდული გამოსახულებებით გამოკვეთილი.

როგორც ორნამენტი აგრეთვე სხვა პლასტიური გამოსახულებები ამჟღავნებენ მოუქნელ მოუხვამე ფორმებს. არა გვაქვს ხაზის მოქნილი მდინარეება, დეტალების რბილი გადასვლა; ვახელებული ფიგურები მოდელირებისა სრულიად მოკლებულნი არიან, ოსტატს არა აქვს წარმოდგენა სიმეტრიისა და პროპორციის კანონზომიერებაზედ.

იურევი - პოლოცკში კი სულ სხვა ამბავს ვხედავთ. სამკაულის დეტალები და მისი აღნაგობის პრინციპი ფორმალური თვალსაზრისით ახტამარისაგან განირჩევა მკვეთრად. აქ კედლების მთელი სიბრტყეებისა სამკაულით შემოსილი. არა გვაქვს „მკვდარი“ ანუ „ყრუ“ სიბრტყეები. უწინარეს სხვათა განსხვავებას ნათლად ვხედავთ თვით ორნამენტალურ მოტივში. იურიევი - პოლოცკში ბარდული ხლართი უფრო პლასტიურია, დინამიური, ენერგიული დენსა ხაზისა, ურთიერთზედ გადაწეული განზტოებებით. ტექნიკური დამუშავების მხრივაც გაცილებით წინ წასული, ფაქიზი და მოხდენილი ვინემ ახტამარი. აქ ვერ ვამჩნევთ იმ მესოპოტამიურ ხასიათს, რასაც სტრიგოვსკი სომხურ ძეგლებში ხედავს.<sup>2)</sup>

ხოლო განსხვავება უფრო თვალსაჩინო და დამაჯერებელი იქნება თუ იურიევი - პოლოცკის წმ. გიორგის რელიეფს ახტამარის ტაძრის რომელიმე რელიეფს ამოუყენებთ გვერდით. პირველში წმ. გიორგი რეალური ფიგურაა, სხეული პროპორციულად არის ჩამოსხმული, კიდურები შეთანხმებული, დგომა დამაჯერებელი, მყარი. საბოლოო ცალკეული ნაწილები მეცნობილი და ნამდვილად გააზრებელი, რაც მას ცხოველყოფელ იერს ანიჭებს და ახტამარის პრიმიტიულ ფიგურებს საკმაოდ აშორებს. რაც მთავარია წმ. გიორგის ოსტატი ისწრაფის სხეულის ვახედული მოდელირებისაკენ, თვითთელი ნაკვეთი მორგავალბულისა, ვრცელი და ინდივიდუალური ხასიათის მატარებელი. როგორც ტიპოლოგიუ-

1) Baukunst der Armenier und Europa I-II Bde, 1918.

2) სტრიგოვსკი... 296.

რად, ისე მისი მალალი ტექნიკური დამუშავების მხრივ წმ. გიორგი ახტამარისათვის უცხო ფონით არის მთაბერევილი.

ამრიგად სომხურისა და რუსული ძეგლის ნათესაობის ძიება ნაყოფს ვერ მოგვცემს. თანაც ამ ორ ძეგლს ერთიმეორისაგან საამასი წელი ამორებს (ახტამარი 915 - 21, იურიევო-პოლოცკი —1230 - 34).

აქვე უნდა დავსძინოთ ისიც, რომ საერთოდ სომხური ტაძრების ორნამენტი მეტად ნაირფერი სტილისტურის მხრივ, თვით სტრიოვსკი სომხეთში ანსხვავებს მესობოტამიურ, სპარსულ და სხვათა ხელოვნებების შტოების მძლავრ გავლენას. აქ ვხდებით ორნამენტების მთელ სისტემას, რომელიც პირწმინდათ გადმოტანილია პალესტინური ხელოვნებიდან. ერთი მაინც უღდავო უნდა იყვეს, რომ სომხურ ორნამენტში ნაციონალური ხასიათი ისე მკვეთრად არ გამოკვეთილა, როგორც საქართველოში. სომხეთში უცხო ნიმუშების ნაკადი მძლავრად გამოდგა და წმიდა ნაციონალური ფორმების ჩამოსხმა შეაფერხა. შეორეს მხრივ არც იურიევო-პოლოცკის რელიეფთა რუსული ნაციონალური შემოქმედების ნაყოფი, მისი მსგავსი არ მოგვეპოება რუსულ ქრისტიანულ ხელოვნებაში. აღბატოვმა მენინინა ამ უცხო სტილის შექმნა<sup>3)</sup>, რომ ამ ტაძრის მდიდარი სამკაული ოქრომჭედლობის ნიმუშებს მოგვაკონებსო. ამავე თვალსაზრისს იზიარებს აგრეთვე ფანინა, როდესაც ამბობს: „იურიევო-პოლოცკის სამკაული მთლიანად აღძრავს მეტად ზუსტ კვებთაზულ სხმულს და მცირე ხელოვნების ძეგლის და არა მონუმენტალური ქვის სკულპტურის მთაბერევილას სტოიებს“-ო.<sup>4)</sup> შეო-

რე ადგილას დასძენს იგივე ავტორი, რომ ზღაპრული არსებების, ცხოველების და მცენარეების გამოსახულებების გამოყენება ხუროთმოძღვრებაში უმთავრესად მცირე ხელოვნების საფუძველზე უნდა იყოს დაწყარებული“-ო. თანაც გაკვრით აღნიშნავს იურიევო-პოლოცკის ტაძარზე კავკასიურ გავლენას, თუმცა შესატყვის და მონათესავე ნიმუშებს არ ასახელებს.

ჩემი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა თუ ამ რუსული ტაძრის სამკაულს, ქართულ ოქრომჭედლობის ძეგლებს შევადარებთ. მცენარეული ორნამენტისათვის დავასახელოთ წყაროსთვის სახარების მოქმედილი ყდა ან ხახულის ხატი, რომელნიც წმ. გიორგის ტაძრის ორნამენტებს ერთი საუკუნით წინ უსწრებენ, ხოლო მესადარებლად უბადლო ნიმუშებს წარმოადგენენ. მათი მსგავსება სახიერდება შემდეგ მუხლებში: ხაზების მდინარეება და მოქნილობა მის ცხოველყოფილ მოძრაობაში, ხლართვა, ყლორტებისა და ფოთლების სიმეტრიულობა და დახვეწილობა, ხოლო რაც მთავარია, საერთო აღნაგობის მსგავსება. ორივე ძეგლისთვის საერთოა — დმოკიდებულება სახესა და ფონს შორის, სხეულის მაქსიმალური ამოწევა ფონიდან, რითაც მას მალალი მხატვრული ხარისხი ენიჭება, ჩრდილისა და სინათლის ცვალებადი მთაბერევილების გამო.

ამრიგად შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ალპატოვის „ახალი სტილი“ ქართული ოქრომჭედლობის ძეგლებში უნდა მოიძიოს, კერძოდ მის მცენარეულ, ბარდულ ორნამენტში, სადაც ქართული ფონი უფრო მკაფიოდ და მკვეთრად არის გამოჩელებული და ნამდვილ ნაციონალურ ხასიათს ატარებს.

ვ. ნ. ციციშვილი

მადრიდი

3) Alpatov, Brunov — Geschichte der Altrussisch. Kunst, Leipzig, S. 268.  
4) Fanina W. Halle «Die Bauplastik von Wladimirsudalia», Berlin 1922.

კულტურული მუშაობა ქართულ სათვისტოში

პარიზის ქართული სათვისტომო დიდ აქტივობას იჩენს სალამოების მოწყობის საქმეში; ეს ფრიად მოსაწონი მოვლენაა, მაგრამ სამწუხაროთ ამ სალამოებს აკლია ქართული ელფერი და შინაარსი, და თუ კი მათ აცხიათ რაიმე ქართული, ისიც მეტად დამახინჯებული, დაბალი ღირებების და თვისებისაა. განსაკუთრებით დიდი მუშაობაა ქართული ცეცების დადგმისათ-

ვის. ამ მიმართულებით ბ. ილია ვაბადაურის დაუფასებელი შრომით და ბ. ვლ. რუხაძის უანგარო დახმარებით, პლეიელის დარბაზში გაიმართა ქართული ბალეტის ორი დიდი სალამო. სინიდისის ქვეშ უნდა ითქვას, რომ ამ ორ სალამოს ეტყობოდა სერიოზული ნიშნები ნამდვილი ჩვენი ცეცვის თავისებურების გამოტანისა ევროპის სცენაზე, რაც ზღვარუდებელი მნიშვნელო-

ბის ამბავია ჩვენი ქვეყნის ხელოვნების პრობა-  
განდისათვის. საუბედუროდ ეს ბალეტი დაიშა-  
ლა სხვა და სხვა მიზეზების გამო.

უდაოა, რომ ცეკვების დარგში ემიგრაციაში  
მოიპოვებთან საკმაო ძალები კარგი ჯგუფის შე-  
საქმნელად. მაგრამ საჭიროა ხელოვნებისათვის  
ასულდგმულეზღვეს ხელოვნებისადმი სიყვარული  
და პატივისცემა, და არა მარტო მატერიალური  
მხარე. მიუღებელია რომ თანამედროვე საზოგა-  
დოების უცნაური გემოვნების დასაკმაყოფილე-  
ბლად ჩვენი ძვირფასი ეროვნული განძი ვაშა-  
ხინჯოთ და მას ველოური სახე და ხასიათი მიე-  
ცეთ. მონმარტუე პირში ხანჯლებით ხტომა და  
ყვირილი დიდი მოწონებაში იყო, მაგრამ ეს ხომ  
არ იყო ჩვენთვის სასახელო და მისაღები! ვუელუ-  
ჩი ბუნება სრულებით არ ახასიათებს ჩვენს პარ-  
მონიულ და ნაზ ცეკვებს.

ხელოვნება ღვთაებრივი ნაპერწკალია; რომ  
მას ეზიაროს და შეეხოს ადამიანი, საჭიროა პი-  
როვნება იყოს აღჭურვილი დიდი გემოვნებით,  
ცოდნით და მაღალი გრძობით.

სასურველი იქნებოდა, რომ ყველა ამას დიდი  
ყურადღება მიექცეს და ვინმე მცოდნე და გა-  
მოცდილმა ითავოს ყველა ძალების გაერთიანება  
და ქართული ბალეტის წმიდა ხელოვნების ნია-  
დაგზედ დაყენება.

\*\*

შაბათს, 28 ოქტომბერს, პარიზში დავესწარი  
ბ. რევაზ გაბაშვილის მოხსენებას: „პოეზია და  
ქართული ენა“.

ორი საათის განმავლობაში მომხსენებელმა  
აწვალა პოეზია და დამსწრე საზოგადოებას.

როდესაც თვით მცოდნე დიდი მოკრძალებ-  
ით და მოწიწებით იღებენ ამ უმაღლესი ხელო-  
ვნების ტაძრის კარებს, ჩვენ იშვიათ სითამაშეს  
ვიჩენთ და ვაკრიტიკებთ იმას, რაც ჩვენთვის მი-  
უწოდებელია და უცნობი. ბ. რ. გაბაშვილი არ  
დაკმაყოფილდა თავის აგრესიულ მოხსენებაში  
ჩვენი ახალგაზრდა პოეტების დამცირებით. მან  
იკადრა ქართული მწერლობის ოლიმპის გრი-  
გოლ რობაქიძის შეხება მიუღებელ ფორმებში,  
რამაც ათუდითორიის დიდი ალელვება გამოიწვია  
და საკადრისი პასუხიც გასცეს. მათ შორის შე-  
სანიშნავი იყო ბ. შ. კალანდაძის დასაბუთებუ-  
ლი სიტყვა.

სასურველი იქნებოდა, რომ მომხსენებელმა  
სენებლებმა მეტი პატივისცემა გამოიჩინონ რო-  
გორც მოხსენების საგნისადმი, აგრეთვე თვით სა-  
ზოგადოების მიმართ

ნინო სალია

ბ ი ბ ლ ი მ გ რ ა შ ი ა

გამოვიდა ჩვენი ჟურნალის თანამშრომლის,  
მამა მ. თარხნიშვილის ლიტურგიკების წიგნი ორ  
ტომად ქართულად და ლათინურად, რომელიც  
შეიცავს ექვს ტექსტს: ორი იაკობისა, ერთი იოა-  
ნე ოქროპიძისა, ერთი წმ. პეტრესი და ორი  
„განახლება“. ტექსტები შედგენილი უნდა იყოს  
დაახლოვებით მე-IX - IX საუკ.

გამომცემელი: «Corpus Scriptorum Orientalium  
Christianorum». Louvain, Belgique. წიგნის შეტენა  
შეიძლება „ბ. ქ.“ საშვალეებით.

ში და საქართველოში მათი გამეფების დროის  
საკითხებს.

იბეჭდება და მალე გამოვა პარიზში Revue  
d'Assyriologie-ში ჩ ე ე ნ ი თანამშრომლის  
პროფ. მიხ. წერეთლის «la stèle de Topzaua»,  
უზარტულად და ასურულად დაწერილი ლურს-  
მული ტექსტი მერვე საუკუნისა ქრ. წ. ტექსტი  
სრულიად და სწორად პირველად არის წაკით-  
ხული და თარგმნილი ავტორის მიერ. მას აქვს  
ისტორიული და კიდევ მეტი ენათ-მეცნიერული  
მნიშვნელობა.

გამოვიდა საინტერესო გამოკვლევა ბ. კირილე  
თუმანოვისა: «The Early Bagratids, Remarks in  
Connexion with Some Recent Publications (Muséon,  
t. LXII, 1-2)», სადაც ავტორი ვაშუქებს ახლად  
ბაგრატიონთა გვარის წარმოშობისა და სომხეთ-

გრიგოლ რობაქიძემ მოათავა: „ფრიდრიხ ნი-  
ცშე“ (წიგნი) და „იზისის ენგადი“ (წიგნაკი).  
მოლაპარაკება გამოცემლებთან გამართულია.

რედაქციისაგან

გერმანიელ მეცნიერთა ლემანის და ბელკის აზრებს, გამოთქმულს დიდი ხნის წინად, ქართველი მკითხველი ნაკლებად იცნობდა და ამიტომ მოვათავსეთ ძვენ ყურნალში ბ. ვ. ემუნვარის წერილი „ვანში აღმოჩენილ ლუტრსმულ წარწერების შესახებ“. ხოლო თუ რა მოხდა უჩრატეოლოგის მეცნიერებაში მათ შემდეგ, ან თუ რატომ ვერ ვუწოდებთ უჩრატელებს ანუ ძველ

ვანელებს „ქალებს“ ლემანის ტერმინოლოგიით, ან თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ მეცნიერებად ქართული ენისა და უჩრატეოლოგის ნათესაობის ძველი აზრი ლენორმანისა, სეისისა, ლემანისა და სხვათა, ამის შესახებ მოთხრობილი იყო ჩვენ ყურნალში პროფ. მიხ. წერეთლის წერილში: „ქართული ენის ნათესაობის შესახებ“. („ბედი ქარ.“ № 1 - 2).

ქრონიკა

პარიზის ქართულ სათვისტომოში

I

პარიზის ქართულმა სათვისტომომ დაარსა საჯარო კურსები ქართული კულტურის შესასწავლად. კურსები მოეწყობა რეგულიარულად კვირაში ერთხელ.

II

ქართული წიგნთ - საცავის შესაქმნელად გამგეობამ გადასწყვიტა თავი მოეყაროს ქართულ წიგნებს და უცხო ენაზე გამოცემათ, რომელნიც საქართველოს ეხებიან. ამისათვის მან გადასდო განსაზღვრული თანხა და სთხოვეს საზოგადოებას, სასყიდლოთ ან შემოწირულობების სახით გაამდიდრონ ქართული წიგნთ - საცავი.

III

ქართული ენის პირველდაწყებითი სკოლა მცირე წლოვანთათვის მოეწყობა პარიზის ქართულ ეკლესიასთან

ვთხოვთ ყველას დაგვეხმარონ და ხელი შეუწყონ ჩვენ დაწყებულ საქმეს.

პარიზის ქართული სათვისტომოს გამგეობა.

ჩვენი რედაქცია სიამოვნებით ხვდება ამ ამბავს და უსურვებს წარმატებას.

ლოვანის უნივერსიტეტის პროფ გ. გარიტმა გადაიღო ფოტოგრაფიული სურათები ყველა ქართული ხელნაწერებისა (დაახლოებით 90 ცალი), რომელნიც დღემდე კიდევ დარჩენილა სინას მთაზე. მათი კატალოგი მალე გამოვა იმავე უნივერსიტეტის ყურნალში: Le Muséon.

ბ. მიხ. ჩუბინიძის მოხსენება

ამა წლის 1 ოქტომბერს, ბ. მიხეილ ჩუბინიძემ წაიკითხა მოხსენება: „ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობის წარმოშობა - განვითარება და მისი როლი მომავალ ქართულ ეკონომიკაში“. მოხსენების მოკლე შინაარსი დაიბეჭდება ჩვენი ყურნალის მოკლე ნომერში.

სამგლოვნიარო

„ბედი ქართლისა“-ს რედაქცია და მეგობრები გერმანიაში და საფრანგეთში უღრმესი გულის - ტკივილით სამძიმარს უცხადებენ ექვთიორე მხალაშვილს და მის სახლობას მისი უძცროსი ვაჟის ნიკო ს (7 წლ.) უღროოდ დაკარგვის გამო.

ჭ ელენე დემოლონისა

ტრადიკულად დაილუპა საფრანგეთში ელენე გიორგი წერეთლის ასული დემოლონისა, რასაც მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას.

**† იური ფალავა**

პარიზში ტრადიკულად გარდაიცვალა ქართველი საზოგადო მოღვაწე **იური ფალავა**. განსვენებული იყო უაღრესად კეთილი და პატიოსანი ადამიანი. მთელი ქართველობა დიდი მწუხარებით შეხვდა მის სიკვდილს.

**† ეკატერინე ფრიკი - ქიქოძისა**

იტალიაში გარდაიცვალა **ეკატერინე ფრიკი-ქიქოძისა**, რასაც მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას.

**† ვასო გორდელაძე**

ნორვეგიაში გარდაიცვალა საქ. ეროვნული მთავრობის წევრი **ვასო გორდელაძე**. „ზედი ქართლისა“ თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ბ. ქ.“ თანაგრძნობას უცხადებს **ბ. მ. ლაშქარაშვილს** მისი მეუღლის გარდაცვალების გამო.

**† ლადო ჭურღულაშვილი**

„ბ. ქ.“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ პარიზში გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ **ლ ა დ ო ჭ უ რ ლ უ ლ ა შ ვ ი ლ ი**.

**არგენტინაში**

არგენტინაში მცხოვრებ ქართველებმა მოაწყვეს აგვისტოს აჯანყების წლის თავი.

პანაშვილის გადახდის შემდეგ მათ მიიტანეს გვირგვინი არგენტინის განმათავისუფლებელი გმირის, სან-მარტინის ძეგლთან.

ადგილობრივმა პრესამ ამის გამო ვრცელი და მკრძნობიარე წერილები უძღვნა საქართველოს.

**რედაქციისაგან**

არ დაიბეჭდება გაგრძელება **თამარ და აკ. პავას** წერილისა „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამ“, ვინაითგან ავტორებს განქრახული აქვთ წიგნის გამოცემა.

**ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრებ თანამემამულეთ!**

შემოწირულობა და ჟურნალის ფული გთხოვთ გადაუგზავნოთ ჩვენ თანამშრომელს **ე. გივი კობახიძეს**, 42, Park Place, Pawtucket, R. J.

**ინგლისში** — შემოწირულობა და ჟურნალის ფული უნდა გადაუგზავნოს **ბ. ა. ბესტავაშვილს** M. A. Besta, 106 Burnt Ash Road, London S. E. 12.

**გერმანიაში** — თავ. ნიკოლოზ ნაკაშიძეს Ungererstr. 86 b/Siegel, München 23.

**არგენტინაში** — **ბ. ვ. ლ. გამრეკელს** Las Piedras 135, Lomas de Zamora F. C. N. G. R. Buenos-Aires.

**კრებულის ფონდი**

შემოსწირვის: ბ. ბ. ი. ბ. იტალიიდან — 5.000 ფრ., ლ. რ. — 10 დოლ., მ. შანიძემ და პ. კვარაცხელიამ — 5 დოლ., ქ-ნ ე. ლამბაზიძის ასული - სტიუარტმა — 2 ფირ., კ. გუნიამ ლიონის ქართული საათვისტომოს სახელით — 1.500 ფრ., დ. კლდიაშვილმა — 1.000 ფრ., ა. ბესტავაშვილმა — 1.000 ფრ., მ. ბ. ჩუბინიძემ — 1.000 ფრ., გივი კობახიძემ — 2 დოლ., ა. ფანჩულიძემ — 500 ფრ., შ. გიორგაძემ — 500 ფრ., ლ. კერესელიძემ — 500 ფრ. და მ. თარსაშვილმა — 300 ფრ.  
**სულ — 20.000 ფრ.**

გულით გმადლობთ! ფთხოვთ დამეხმაროთ!  
„ზედი ქართლისა“

**რედაქტორი: კ. სალია**